# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 40 კაპ.

საქართველოს მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 21 ოთხშაბათი, 21 აგვისტო 1918 წ. № 21


ამ ნომერში ექვსი გვერდია


მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.

## ოზურგეთის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა წლის პირველ სექტემბრიდან საჭიროა ქალაქის აფთიაქისთვის გამგე-პროვიზორი. ჯამაგირი თვეში 500 მანეთი. მისამართი: ქ. ოზურგეთი ქალაქის გამგეობას. (5--3)

## თბილისის კონსერვატორია.

მისაღები გამოცდები დაიწყება 10 სექტემბრიდან. თხოვნების მიღება კონსერვატორიის კანცელარიაში (გრიბოედოვის ქ., № 8) ორშაბათობით და ხუთშაბათობით დილის 11—1 საათამდე. სწავლის ფასი სიმღერის კლასებში 350 მან. წელიწადში, დანარჩენ კლასებში 300 მან. სწავლის ფასი გადახდება ნახევარის წლობით. სწავლა დაიწყება 20 სექტემბერს. 6—1

ქართულ ენაზე

## საბუხჰალტერო და საკომერციო კურსები

(ორივე სქესისა)

კურსები სამთვიანია, სწავლა საგნებისა და წიგნების წარმოება ქართულ ენაზეა. მეცადინეობა დაიწყება 10 ენკენისთვიდან. თხოვნები მიიღება საღამოს 5—7 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა № 22. ბუხჰალტერის კურსები ნ. ვ. აბრამიანისა. (6—2)


## განცხადება

თბ. მაზრის ალმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმი, რომელიც აწარმოებს მაზრაში საერობო არჩევნებს, ამიერ-კავკასიის დროებ. დადგენ. მე 77 მუხ. ძალით ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ ახბულახის ოლქიდან წარმოდგენილია კანდიდატთა ერთი სია სოც.-დემოკრატიული მუშათა პარტიისაგან, სოც.-ფედერალისტებთან შეთანხმებით.

| №№ რიგ. | გვარი, სახელი და მამის სახელი. | წლოვანება | რა ხელობისა, ანუ სამსახურისაა. | სადა სცხოვრ. |
|---|---|---|---|---|
| 1 | სალარაძე, ტრიფონ სპირიდონ-ნის ძე . | 25 | თბ. მაზრის საადგილ-მამულო გამგეობის წევრი. . . . . . . | თბილისი. |
| 2 | კოვიანოვი, არტემ გასპარის ძე . . . | 44 | თბ. მაზრის საადგილ-მამულო გამგეობის წარმომადგენელი. . . | დ. ახბულახი |
| 3 | კიხოევი, დემიან ივანეს ძე . . . . | 28 | თბ. საგუბერნიო საადგილ-მამულო გამგეობის წევრი . . . . | თბილისი. |
| 4 | ავალიშვილი, ესტატე გიორგის ძე . | 35 | კოოპერატორი (სოც.-ფედ. . . | „ |
| 5 | საჯიევი, იორდანე ივანეს ძე . . . . | 43 | თბ. მაზრის საადგილ-მამულო გამგეობის წევრი. . . . . . . | თბილისი. |
| 6 | ლანგიშტეინი, იაკობ ივანეს ძე . . | 43 | მეურნე . . . . . . . . . | ასურეთი. |
| 7 | თედეშვილი, გიორგი ევგენის ძე . . | — | მუშა . . . . . . . . . . | თბილისი. |
| 8 | თედოროვი, ტერენტი კასიანის ძე . | 37 | მეურნე . . . . . . . . . | ახბულახი. |
| 9 | მაჭარაშვილი, გიორგი დომენტის ძე . | 41 | კოოპერატ. (სოც.-ფედ.) . . . | თბილისი. |
| 10 | დალაქიშვილი, ტიგრან დავითის ძე . | 27 | მეურნე . . . . . . . . . | ენაგეთი. |

თბ. მაზრის ალმასრ. კომიტეტის პრეზიდიუმი.

## ოფიციალური განყოფილება

## ცირკულიარი.

თბილისის და ქუთაისის საგუბერნიო კომისრებს და სოხუმის ოლქის კომისარს.

„17“ აგვისტო 1918 წ. № 14611 ქ. თბილისი.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებულ იქმნა კანონ-პროექტი საქართველოს რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეებში სასოფლო ადმინისტრაციისა და მილიციის შტატების დაწესების შესახებ, რომელიც გამოქვეყნებული იყო მთავრობის მომბის „საქართველოს რესპუბლიკის“ მე № 11-ში.

გაუწყებთ რა ამას, გაძლევთ წინადადებას დაუყონებლივ შეუდგეთ თქვენდამი რწმუნებულ გუბერნიაში სასოფლო ადმინისტრაციისა და მილიციის მოწყობას იმ წესით, რა წესითაც დაკანონებულ იქმნა ეს ეროვნულ საბჭოს მიერ.

ამასთანავე, რომ უფრო წარმატებით იქმნას გატარებული ცხოვრებაში ხსენებული ინსტიტუტი, რომელსაც დასახული აქვს განსაკუთრებით საყურადღებო მიზნები—წესიერებისა და მშვიდობიანობის უზრუნველყოფა რესპუბლიკაში, საჭიროდ ვრაცხ სახელმძღვანელოთ მიგითითოთ იმ წესებზე, რომელნიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი აღნიშნულ კანონ-პროექტის პრაქტიკულად განხორციელებასთან.

უპირველეს ყოვლისა იბადება აუცილებლობა, რომ ადმინისტრაციის და მილიციის მოწყობის საქმე სოფლებში განხორციელებულ იქმნას სარაიონო კომისრების მიერ, მაზრის კომისრებისა, ან მათი თანაშემწეების პირადი ზედამხედველობით, რომელთაც ვალად ედებათ მეტი დაკვირვება, ენერგია და უნარი გამოიჩინონ ადმინისტრაციის და მილიციის მოწყობაში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა ექმნეს მიქცეული მილიციის პირად შემადგენლობას, რათა ყოველ მხრივ ღირსეული და შესაფერისი პირები მოხვდნენ ამ პასუხსაგებ და ფრიად მნიშვნელოვან საქმეების შესასრულებლათ.

სასოფლო საზოგადოების კომისარის თანამდებობაზე საზოგადოება ირჩევს ერთ კანდიდატს, რომელსაც ამ თანამდებობაზე ამტკიცებს მაზრის კომისარი; კანდიდატის არჩევნები ხდება საზოგადოების ყველა მცხოვრებთა საერთო ყრილობაზე, რომელსაც იწვევს სარაიონო კომისარი.

ხსენებულ კომისრების თანამდებობაზე, რომ ღირსეული და დანიშნულების შესაფერისი პირები იქმნენ არჩეულნი, აუცილებლათ საჭიროა მცხოვრებლები დაწვრილებით, ფართოთ იქმნენ გაცნობილნი კომისრების მოვალეობის შინაარსა და ხასიათს და, რა თქმა უნდა, მათ უფლებასა და მოვალეობას. ხსენებულ მიზნების მიხედვით უნდა ემცნოს საზოგადოებას, რომ მათი საკუთარი ინტერესებისა და სარგებლობისთვის არის საჭირო და აუცილებელი კომისრების თანამდებობაზე უმწიკვლო და ზნეობრივათ მაღლა მდგარ, ყოველ მხრივ სანდო პირთა არჩევა, რადგანაც მხოლოდ ასეთი პირები შესძლებენ საზოგადოებათა ინტერესებით იხელმძღვანელონ და მათის საჭიროების და მოთხოვნილების სასარგებლოთ იმოღვაწეონ.

მიუხედავად ამ ზემოთ მოყვანილ წესისა, საზოგადოების კომისარის დანიშვნა განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს გუბერნიის კომისარის უფლებითაც.

ეს წესი ადმინისტრაციის მხრივ საზოგადოების საქმეებში ჩარევისა კომისრების დანიშვნის დროს, რომელიც არღვევს მონიჭებულ ხალხის უფლებებს, ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ ადმინისტრაციას ხელთ უპყრია ამისათვის საკმაო საბუთები, რომლებიც აუცილებლათ მოწმობენ, ააშკარავებენ, რომ სოფლის მიერ არჩეული კანდიდატი ზნეობრივისა, თუ პოლიტიკურის მხრივ არა საიმედო არის და არ შეეფერება თავის დანიშნულებას.

ყოველ საზოგადოებათა კომისარს აქვს ცალკე კანცელარია, რომელშიაც მოთავსებული უნდა იქნეს გარდა იმ საქმის წარმოებისა და მიწერ-მოწერისა, რომელიც საკუთრად, პირადად სასოფლო საზოგადოების მართველობას შეეხება, აგრეთვე სამობილიზაციო, სამხედრო-საცხენო ბეგარის, ხარჯთ-აკრეფის და სხვა სახელმწიფო გადასახადების საქმეების წარმოება.

ვინაიდან აღნიშნულ კანცელარიის საქმეები რთული და ფართო ხასიათისაა, ამისთვის აუცილებლათ საჭიროა, რომ ხსენებულ კანცელარიებში სამუშაოთ მოწვეულ იქნენ შესაფერის ცოდნითა და მომზადებით აღჭურვილი ღირსეული მოსამსახურენი. ამის და მიხედვით ყოველ საზოგადოების კომისარს თავის განკარგულებაში ეძლევა, ყოველ თვიურათ, კანცელარიის შესანახად 450 მან., ეს თანხა სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ საქმის წარმოება შესაფერ დონზე იქნეს დაყენებული კანცელარიაში.

თითეულ საზოგადოებას ჰყავს 5 კაცისაგან შემდგარი მილიცია; მილიციონერების ჩარიცხვა სამსახურში ხდება საზოგადოების კომისარის განკარგულებით, რომლებსაც კომისარი ნიშნავს სოფლის მცხოვრებთაგან, ყველაზე უფრო საიმედო და გონებრივათ, თუ ზნეობრივათ დამაკმაყოფილებელ პირებისგან, ამასთანავე, საქმის ინტერესების მიხედვით მილიციაში დანიშნულ უნდა იქნან სოფლის მცხოვრებთაგან სავსებით ნეიტრალური პირები, ხოლო, თუ ამ საზოგადოებაში ასეთები არ მოიპოვებიან, იმ შემთხვევაშიში მოწვეულ უნდა იქნან მეზობელ საზოგადოებებიდან.

ადგილობრივ პირობებისა და გარემოების მიხედვით, თუ რომ ამას საჭიროება მოითხოვს (მაგალითად ანარქიასთან ბრძოლის დროს) მილიციონერები შეიძლება ერთის სოფლის საზოგადოებიდან დროებით გადაყვანილ იქნან მეორე სოფ. საზოგადოებაში ამ ღონისძიებას მიზნათ აქვს დასახული ძალთა გაძლიერება იქ, სადაც ამას თხოულობს მშვიდობიანობისა და წესიერების დამყარების აუცილებლობა.

დახელოვნებულათ და მარჯვეთ მოხმარება, გამოყენება სასოფლო მილიციის ძალებისა აუცილებლათ შეუმსუსუბუქებს ადმინისტრაციას იმ ღონის ძიებათა და ზომების უმტკივნეულოთ ცხოვრებაში გატარებას, რომელნიც სავსებით უზრუნველყოფენ სოფლებში წესიერებისა და მშვიდობიანობის დაცვა-განმტკიცებას. მხოლოდ ამგვარი მოქმედება შექმნის გარანტიას მშვიდობიანობისა და პოლიტიკურ, თუ საზოგადოებრივ ცხოვრების წესიერ კალაპოტში მსვლელობისას რესპუბლიკაში.

გაუწყებთ რა ამას, წინადადებას გაძლევთ აუხსნათ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, ხსენებულ ღონისძიებათა ცხოვრებაში წესიერად გატარების მნიშვნელობის სიდიადე და მოუწოდოთ ყველა ადგილობრივ ძალებს ერთსულოვან და გამაერთიანებელ მუშაობისაკენ სახელმწიფოს სარგებლობისა და შვებისათვის.

თქვენდამი რწმუნებულ მხარეში სასოფლო ადმინისტრაციისა და მილიციის შემოღების საქმის მსვლელობის შესახებ ცნობები კეთილინებეთ სასწრაფოთ მომაწოდოთ.

მინისტრის ამხანაგი

ქ. საბახტარაშვილი.

კანცელარიის დირექტორი

ივ. კაჩუხაშვილი.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სამხედრო სამინისტროს მიმართ.

16 მარიამობისთვეს 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 29.

სამხედრო ხარისხოვნების შესახებ.

1

ჩემი თანაშემწე, ინფანტერიის გენერალი ოდიშელიძე, თავის თხოვნისამებრ, თავისუფლდება სამხედრო მინისტრის თანაშემწის თანამდებობისაგან ჩემს განკარგულებაში დატოვებით.

ც ნ ო ბ ა: ინფანტერიის გენერალის ოდიშელიძის რაპორტი.

2.

ჩემის თანაშემწის თანამდებობის დროებით აღმასრულებელი გენერალურის შტაბის გენერალ-მაიორი ბენაშვილი თავისუფლდება ნაჩვენების თანამდებობისაგან და ინიშნება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროს სალიკვიდაციო ნაწილის უფროსად. ამავე დროს გენერალს ბენაშვილს ვაკისრებ სამხედრო-ტიპოგრაფიულის ნაწილის გამგებლობასაც.

3.

სამხედრო კომისიის წევრი, ჩემს განკარგულებაში მყოფი გენერალ-მაიორი გედევანიშვილი (ალექსანდრე) ინიშნება საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწედ. სამხედრო მინისტრი გიორგაძე.

სწორეა: სამხედრო სამინისტროს საერთო ნაწილის კანცელარიის უფროსის მაგიერ კაპიტანი გ ი ო რ გ ა ძ ე.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრისა.

16 აგისტო 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 22.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ქ მ ნ ა: სოხუმის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ივანე კლემენტის ძე დავიდოვიჩი თავის თანამდებობიდგან. დათხოვნილ იქმნა თავის თხოვნის თანახმად, თბილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე ნიკოლოზ კაზიმირის ძე პაცევიჩი თავის თანამდებობიდგან სალიკვიდაციო ფულის მიცემით ეროვნულ საბჭოს 1918 წლის 3 ივლისის დადგენილების თანახმად.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ა: თბილისის ოლქის სასამართლოს საადმინისტრაციო განყოფილების წევრი პეტრე ბესარიონის ძე კიზირია—თბილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ.

№ 23.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ქ მ ნ ე ნ: თავისის თანამდებობიდგან საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლოს გაეროვნებისა გამო: თბილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი კონსტანტინე ვასილის ძე სპირიდონოვი, იმავე სასამართლოს წევრნი: მარიან ოსიპის-ძე იანკოვსკი, დიმიტრი მიხეილის ძე გავრილოვი, გრიგოლ ვასილის ძე დანილოვი, ვლადისლავ ადოლფის ძე ვიტორტი, ვიქტორ ვიქტორის ძე პლენევსკი, ალექსანდრე ანტონის ძე კრასნოვსკი, ალექსანდრე სიმონის ძე სემიგალოვი, ივანე გაბრიელის ძე ვალადინსკი, ვლადიმერ ვასილის ძე პატოცკი, ივანე ილარიონის ძე ჟემეროვი და ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძე ბეზსონოვი და იმავე სასამართლოს უფროსის ნოტარიუსის აღმასრულებელი: ანტონ კარპის ძე ნესტეროვსკი სალიკვიდაციო ფულის მიცემით ეროვნულ საბჭოს 1918 წ. 3 ივლისის დადგენილების თანახმად.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ე ნ: მომრიგებელ სასამართლოთა მოსამართლენი: ქუთაისის ქალაქისა ნიკოლოოზ კირილეს ძე რაზმაძე, შუშისა—იოსებ ილარიონის ძე კობიაშვილი, გეოქჩაისა—გიორგი იოსების ძე კახიძე და ახალქალაქისა—ივანე ლუკას ძე ჟვანია; მომრიგებელ სასამართლოთა მოსამართლის თანაშემწენი: ყვირილისა—სიმონ ყარამანის ძე ჩხეიძე, ქ. თბილისის მე-4 უბნისა, საგამომძიებლო ნაწილის გამგე ვლადიმირ დარისპანის ძე გომართელი, გორისა—სურამის პირველ სამომრიგებლო ნაწილის გამგე მიხეილ ისაიას ძე ორჯონიკიძე და ქ. თბილისის პირველ უბნისა—კონსტანტინე სოლომონის ძე წერეთელი, ერევნის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს წევრად ყოფილი დიმიტრი თომას ძე ხოშტარია, ახალციხის ნოტარიუსი მიხეილ პეტრეს ძე სარაჯიშვილი და თბილისის სასამართლო პალატის ოლქის ნაფიცი ვექილი გიორგი ზურაბის ძე ჩაჩიბაია და სამსონ ჯანსოხის ძე გელოვანი—თბილისის ოლქის სასამართლოს წევრებად ყველანი ამა 1918 წლის 20 აგვისტოდგან, მათ შორის ხოშტარია და გელოვანი—საადმინისტრაციო განყოფილებაში.

გ ა დ ა ყ ვ ა ნ ი ლ ი ქ მ ნ ა: ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი სერგო ივანეს ძე შაგინოვი, თავისის თხოვნის თანახმად—თბილისის ოლქის სასამართლოს წევრად.

დ ა ნ ი შ ნ უ ლ ი ქ მ ნ ა: გორის მომრიგებელ სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე სამოელ ზაქარიას ძე კანდელაკი — თბილისის ოლქის სასამართლოს უფროს ნოტარიუსად.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ნ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი.

იუსტიციის მინისტრი შ. ვ. ა ლ ე ქ ს ი - მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობ-მრეწველობის სამინისტროსი.

13 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 25.

სამსახურიდან თავისუფლდება ერთი თვის ვადით ფოთის ხაზინის ხაზინადარი გრიგოლ დოგიალო.

№ 26.

თავისუფლდება სამსახურიდან ორი თვის ვადით ოზურგეთის ხაზინის ხაზინადარი გიორგი გვინჯილია.

№ 27.

შტატს გარეშე რჩება საერთო წესის მიხედვით ყოფილ ამიერ-კავკასიის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს ცენტრალურ დაწესებულებათა გაუქმების გამო ფინანსთა სამინისტროს კანცელარიის ბუჰალტერის უმცროსი თანაშემწე ალექსანდრე ალექსანდრეს ძე რ ა დ ი კ ე.

ფინანსთა მინისტრის მაგიერ მინისტრის ამხანაგი კ ა ნ დ ე ლ ა კ ი.

დირექტორი კანცელარიისა ჰ ა ნ ტ უ რ ი შ ვ ი ლ ი

სწორეა: საერთო განყოფილების უფროსი.

№ 30.

16 მარიამობისთვეს 1918 წ. ქ. თბილისი!

ჩემს თანაშემწეს, გენერალ-მაიორს გედევანიშვილს ვაკისრებ უშუამავლოდ თვალყური ადევნოს და ხელმძღვანელობა გაუწიოს რესპუბლიკის ჯარის მოწყობის და მომზადების შესახებ ეროვნულ საბჭოს მიერ მიღებულის ძირითადის კანონდებულებების განხორციელების საქმეს გენერალ გედევანიშვილის გამოცდილება, დამსახურება და მუყაითობა მაძლევენ რწმენას, რომ ყოველი ღონე იქნება ხმარებული, რათა მოკლე ხანში შესრულებულ იქნას პასუხსაგები საქმე რესპუბლიკის ძლიერის და თავის შინაგანის მოწყობილობით, მაგარის ჯარის შექმნისა. ვაკისრებ რა ჩემს თანაშემწეს უმახლობელესს თვალყურის დევნას რესპუბლიკის ჯარის მოწყობასა და მომზადებაზე, წინადადებას ვაძლევ მომახსენოს ხოლმე დრო და დრო ამ ჯარის შედგენის მსვლელობისა და ყველა უმნიშვნელოვანესის საჭიროების შესახებ. სამხედრო მინისტრი გ ი ო რ გ ა ძ ე.

სწორეა: სამხედრო სამინისტროს კანცელიარიის უფროსის მაგიერ კაპიტანი გ ი ო რ გ ა ძ ე.

## არა ოფიციალური განყოფილება

თბილისი, 21 აგვისტო.

მთავარი ჩვენი თანამედროვე ისტორიული საზრუნავი დამოუკიდებლობის დაცვა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის გამტკიცებაა.

ამ დიდ საქმეს წარმოუდგენელი დაბრკოლებები ეღობება წინ საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში, მრავალი შემაფერხებელი პირობა და შინაგანი წინააღმდეგობა უშლის ხელს შინაურ ცხოვრებაში. ია-ვარდით არ არის მოფენილი ჩვენი რესპუბლიკის სავალი გზა. შინ და გარეთ ჩვენმა დემოკრატიამ ეკალი უნდა ჰკაფოს და მით უნდა აგანიეროს და აღრმავოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი არსებობის კალაპოტი.

ამ თვალსაზრისს თუ მოვიმარჯვებთ და ჩვენს ვითარებას ფრთხილათ გადავავლებთ თვალს, უნდა ვთქვათ, რომ ავად თუ კარგათ ჩვენი ცხოვრების მამოძრავებელი ჩარხი წალმაა ატრიალებული, ჩვენი სახელმწიფოებრივი ყოფა მდგომარეობის ბორბალი „მაინც ბრუნავს“.

ამით აიხსნება ერთგვარი ჯერ ოდნავ შესამჩნევი ცვლილება, ასე ვთქვათ, საგარეო სულიერ განწყობილებაში.

უთუოთ ასეთს შთაბეჭდილებას სტოვებს ევროპიდან დაბრუნებული ჩვენი დელეგატების მოხსენებანი საქართველოს მდგომარეობაზე ევროპაში.

ამას მოწმობს სტამბოლის საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც უკანასკნელი დეპეშის და პროფ. ცუგმაიერის განცხადების თანახმად ამ დღეებში გაიხსნება და რომელსაც ყოველ შემთხვევაში დიდებითი მნიშვნელობა ექნება საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობის გასამტკიცებლათ.

ამასვე ამტკიცებს გერმანიაში ჩვენი საქმეებისადმი გაძლიერებული ყურადღება და განსაკუთრებული ინტერესი. რაც სხვათა შორის, გამოიხატება ორმოცდაათ მილიონიან სესხის მოცემაში და გერმანიის პოლიტიკურ წრეების საზოგადოებრივ აზრის გადმოხრაში ჩვენი დამოუკიდებლობის სასარგებლოთ.

ჩვენს საზღვრებზე, მადლობა ღმერთს, ისეთი ალარაფერი ხდება, რომ ჩვენი საერთო დასკვნა საქართველოს სახელმწიფოებრივ მდგომარეობის შესახებ გაიხაროს.

მხოლოდ ძალიან უნდა გვაფიქრებდეს რუსეთი და ბაქო.

რუსეთში დიდი ომი დაიწყო გერმანიასა და მის მოწინააღმდეგეთა შორის. ამ ომში სურთ თვით რუსეთის ჩათრევა, რამოდენიმეთ ის ჩათრეულია კიდეც.

მაგრამ რუსეთის სახელმწიფოებრივობა იმდენათ დარღვეულია, რუსის ხალხის სულიერი განწყობილება იმდენათ დაცემულია, რომ, არ ვფიქრობთ, შესაძლებელ იყოს ამ ჟამათ მისი დიდ საომარ ძალად გადაქცევა. ხოლო ამასობაში ბოლშევიკური მთავრობა დაეცემა, კიდევ უფრო გაჯოჯოხდება რუსეთის მდგომარეობა და ამ ანარქიულ ქაოსში გამოიკვეთება ბურჟუაზიულ მონარქიული ძალა-უფლება, რომელიც თავისთავათ ცხადია, საშიშარი იქნება ყველა რუსეთიდან გამოყოფილ მეზობელ სახელმწიფოსთვის.

მაგრამ სწორეთ ეს მონარქიული საშიშროება და მოსალოდნელი რეაქციონური საფრთხე გააძლიერებს ჩვენს რესპუბლიკაში თავისუფლების უკვდავ სულს და თავიდან ფეხებამდე შეაიარაღებს და გაზრდის ჩვენს დემოკრატიულ სახელმწიფოებრივობას.

ასეთივე სახელმწიფოებრივი შედეგი ექნება ბაქოს ამბების განვითარებასაც, თუ იგი მართლა ინგლისელებმა აიღეს, როგორც ამას ერთი ჯერ კიდევ შეუმოწმებელ დეპეშა გვატყობინებს, და ბაქოს გარეშემო სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გაჩაღდა მათსა და გერმანელებს შორის.

ორივე კოალიციის ბატონობა კავკასიაში შეუძლებელია. ან ერთი უნდა იყოს ან მეორე. ინგლისელებს ბაქოსთან დიდი ძალა არ ჰყავთ. ჩვენ ვფიქრობთ ბაქოს ტრაღედია გახანგრძლივდება და ბოლოს გერმანიის მოწინააღმდეგე ძალები ძლეულ იქნებიან,

ეს ამბები გამოაღვიძებს ჩვენი ხალხის მიძინებულ ძალებს და გაასკეცებს ყოველ მხრივ მუშაობას სახელმწიფოებრივი თავდაცვისათვის.

ან დამოუკიდებლობის შენარჩუნება ან განადგურება. ან რესპუბლიკის უზრუნველყოფა და გამარჯვება, ან თავისუფლების დამარცხება და სიკვდილი! ეს არის ჩვენი დღევანდელი საბედისწერო დილემა.

როგორ ვართ შინ?

## სამხედრო მინისტრთან.

20 მარიამობისთვეს საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრთან იყო ჩვენი რედაქციის თანამშრომელი.

რესპუბლიკის ჯარების საომარი მოქმედებისა და საერთოდ სამხედრო საქმეების შესახებ ჩვენს თანამშრომელს მინისტრმა გადასცა შემდეგი:

ფრონტების მდგომარეობა.

„სოხუმის ოლქისა და იქაური ფრონტის მდგომარეობა მშვიდობიანთაა დღეს. ამ ხანად გენერალ მაზნიაშვილმა თავისი რაზმებით მხოლოდ სტრატეგიულის მოსაზრებით წაიწია წინ, რადგან ბოლშევიკები აპირებდენ თავდასხმას და სურდათ ხელმეორედ მოედვათ ანარქია იმ ადგილებში, სადაც ამ ცოტა ხნის წინად ჩვენმა ჯარებმა ბოლშევიკების განდევნის შემდეგ წესიერება აღადგინეს.

თუ ჩვენი საზღვრების ახლო-მახლო მიდამოებში ბოლშევიკური შემოტევა და მოძრაობა არ დასცხრა, მაშინ მაზნიაშვილი იძულებული იქნება მაიკოპი დაიკავოს და იქ გამაგრდეს, რომ ჩვენი საზღვრების მდგომარეობა უზრუნველვყოთ.

„საჩხერის მხარის ისე, როგორც ონთან რაიონის შესახებ შეიძლება ის ითქვას, რომ ოსების სახელით ოსთა ნაციონალური საბჭოს წარმომადგენელნი მოვიდნენ და გააცხადეს: ოღონდ ჯარების წინსვლა შეაჩერეთ და განსაზღვრულ ვადაში ხალხს იარაღს ჩამოვართმევთ და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას გადავცემთო.

„ლეჩხუმმა მორჩილება განაცხადა და ჩვენს მთავრობას იარაღს აბარებს, მხოლოდ იქაური მომხდარ ამბების ზოგიერთი ხელმძღვანელნი გადავიდნენ სამეგრელოში და იქ მუშაობენ, რაც იწვევს იქ არევ-დარევას. მაგრამ ეს ამბავი სრულიად უმნიშვნელოა და არეულობა მალე განელდება.“

„ბადიაურის მხრის მუსულმანებმა და ქართველებმაც თანხმობა განაცხადეს, რომ იარაღს ჩაგვაბარებენ, თუმცა ყოველ შემთხვევისთვის მოდარაჯე რაზმის გარდა იქ ჯავშნიანი ავტომობილიც სდგას.“

ჯარის ორგანიზაცია.

„ჯარის მოწყობის საქმე თანდათან უმჯობესდება. მობილიზაციის კანონი, რომელიც ეროვნულმა საბჭომ მიიღო, დღეს სასურველად ტარდება. ახალი სამხედრო კანონები მიღებისთანავე გატარდება ცხოვრებაში. ახლად გაწვეულ ჯარის კაცთა შეგროვება (19-დან 23 წლამდე), კარგად სწარმოებს; ხალხი მოდის; როგორც ქართლ-კახეთიდან, ისე იმერეთიდან, გარდა რაჭა-ლეჩხუმისა და სამეგრელოსი, სადაც ჯერ კიდევ არ არის სრული სიწყნარე მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, როდესაც კი ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორიაზე ცხოვრება სულ ცოტათი მაინც წესიერ კალაპოტში ჩადგება, იქიდანაც ისეთივე ხალისით მოვა ახალგაზდობა. ახლად გამოწვეულებს უკვე ვაძლევთ ტანსაცმელს, იარაღს და ყოველივეს, რაც საჭიროა; ვავარჯიშებთ და ვამზადებთ რეგულიარულ ჯარისათვის, ასე რომ ამ მხრივ გაუმჯობესობის ნიადაგი დამაკმაყოფილებელია.

აფიცრების შესახებ კი ის ცნობა, რომელიც „ვოზროჟდენიეში“ იყო დაბეჭდილი, პროვოკაციონური ხასიათისა არის, რადგან აფიცრობა არამც თუ გარბის, პირ იქით თხოულობს ჯარში დარჩენას და გულმხურვალეთ მუშაობის სურვილს აცხადებს, რომ ახლად ჯარის მოწყობის და გადახალისების საქმეს ხელი შეუწყოს?.

ტყვეთ ნამყოფნი.

გერმანიის ტყვეობიდან, გარდა 7 კაცისა თითქმის ყველა აფიცერი დაბრუნდა; ჯარისკაცებიდან კი იქ დარჩენილა ორი ათას კაცამდე.

დაბრუნებული ჯარის-კაცები და აფიცრები სასტიკათ გმობენ ბოლშევიკურსა და ანარქიულ მოძრაობას. იმათი აზრია, რომ უნდა შეიქმნას უაღრესი წესიერება და მაგარი, რკინისებური დისციპლინა სამსახურის ასრულების დროს.

ჩამოსულებმა თავიანთი დელეგატების პირით მაცნობეს და აღმითქვეს, რომ თუმცა სამხედრო ბევრა მოხდილი აქვთ, მაინც დაისვენებენ ცოტას თუ არა იმ წამსვე თქვენს განკარგულებაში დავბრუნდებითო.

ამის შესახებ ჩვენ განზრახვა გვაქვს, რომ რაკი ვადის გარეშე იმსახურებენ, უნტერაფიცრებათ დავგზავნით ჯარის ნაწილებში და განსაკუთრებულ პირობებში ჩავაყენებთ, როგორც გამოცდილებს და უაღრესათ სასარგებლო ელემენტებს.

აგრეთვე ჩამოსულმა აფიცრებმაც, რომელთა შორის არიან გენ. თოფურია და გენერალური შტაბის შტაბ-აფიცერი ჯიჯიხია, გვთხოვეს ჯარში ჩარიცხვა. ტყვეობის დროს ბევრს შეუსწავლია ფრანგული, გერმანული, ინგლისური, აგრეთვე ჯარის კაცებს ბევრი სხვა და სხვა ტეხნიკური ხელობა შეუსწავლიათ. ყველა ჩამოსულებს აღმოუჩინეთ შემწეობა ტანთსაცმელით და ფულით.

ამ ახლო ხანში თუ იქ დარჩენილი ორი ათასი კაციც მოგვემატა, ჩვენი ახალგაზდა ჯარისთვის სწორეთ რომ მოსწრებული და მეტად სასრგებლო იქნება.

საერთო მდგომარეობა.

საერთო მდგომარეობა როგორც ვთქვით ახლა უფრო განმტკიცებულია, ეს არის ჩემთან იყო ჩვენის რესპუბლიკის სამხედრო სამინისტროსთან მრჩევლად დანიშნული გერმანიიდან ჩამოსული გრაფი ვოლსკელეი, 21 ამ თვიდან შეუდგება თავის თანამდებობის ასრულებას. ჩამოვიდა აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკაში მყოფ გერმანულ ჯარების უფროსად დანიშნული ფონ-დერ-გოლცი (შვილი ცნობილ ფონ-დერ-გოლც-ფაშასი“).

# ომის ოთხი წლის თავი გერმანიაში.

მსოფლიო ომის ოთხი წლის თავზე გერმანიის იმპერატორმა ორი მოწოდება გამოსცა; ერთი გერმანიის ხალხის, მეორე გერმანიის ჯარის და ფლოტის მიმართ. ორივე მოწოდება ჩვენი მკითხველებისათვის საინტერესოთ მიგვ ჩნია და მოგვყავს ქვეით. მოწოდებებს ვთარგმნით „Berliner Lagblatt“-ის № 383-დან.

## მოწოდება გერმანიის ხალხის მიმართ.

,,მძიმე ბრძოლის ოთხმა წელიწადმა, რომელიც საკვირველ მოქმედებებით არის აღსავსე უკვე განვლო. ყოველ დროისთვის სამაგალითოდ დარჩება ის თუ რა შესძლებია ხალხს, რომელიც სამართლიან საქმისათვის, თავის არსებობის დაცვა-განმკიცებისათვის, ბრძოლის ველზე სდგას. მადლიერი იმ ღვთიურ ხელის, რომელიც მოწყალებით გერმანიას მართავს, ჩვენ შეგვიძლია ამაყათ ვთქვათ, არ ვყოფილვართ ულირსნი იმ დიდი საქმისათვის, რომელიც განგებამ ჩვენ მოგვანდო. თუ ჩვენ ხალხს ჰყვანდა წინამძღოლნი, ნიჭით დაჯილდოებულნი საქმის უაღრესად სისრულეში მოსაყვანათ, თვით ხალხი თავის ერთგულებით ყოველ დღე ამტკიცებდა, რომ ის ღირსია ამ წინამძღოლთა. როგორ შეეძლო სამხედრო ძალას გარეთ თავის მძიმე საქმეები შეესრულებია, თუ კი შინ საერთო მუშაობას მისთვის ხელი არ შეეწყო. მადლობა ყველა მათ, ვინც უუმძიმეს გარემოებებში ხელი შეუწყო იმ საკითხის გადაჭრას, რომელიც სახელმწიფოს და საზოგადოების წინაშე იყო დაყენებული, განსაკუთრებით მადლობა ჩვენ ერთგულ, დაუღალავ მოხელეთ, მადლობა სოფლის და ქალაქის მცხოვრებთ, მადლობა ქალებს, რომელნიც ამ ომის დროს მძიმე ტვირთს ატარებენ. ომის მეხუთე წელიწადი, რომელშიაც ჩვენ ეხლა გადავდექით გერმანელ ხალხს შემდეგშიაც უმზადებს გაჭირვებას და განსაცდელს. მხოლოდ რაც უნდა მოგველოდეს, უძნელესი დღეები ჩვენ უკვე გადავიტანეთ. ის, რასაც ჩვენ აღმოსავლეთში მივაღწიეთ და ზავით განვამტკიცეთ, რაც ეხლა დასავლეთში სისრულეში მოგვყავს, გვაძლევს ჩვენ იმის მტკიცე რწმენას, რომ გერმანია მა ხალხთა ქარიშხალიდან, რომელმაც ბევრი ერი მიწასთან გაასწორა, გამოვა ძლიერებით მოსილი. დღეს ჩვენ ყველა მწუხარებით ვიგონებთ იმ დიდ მსხვერპლს, რომელიც სამშობლომ მოითხოვა. ამ საშინელი ომისაგან გამოწვეულ მწუხარებას ერთი გერმანელი ოჯახიც კი არ დაუტოვებია. ისინი, რომელნიც ჯერ კიდევ ყმაწვილი იყვნენ, როდესაც ახალგაზდური აღტაცებით ჩვენი ჯარის პირველად ომში წასვლას შესცქეროდენ, დღეს როგორც მეომრები თვით უდგიან ფრონტზე გვერდში თავის მამებს და ძმებს. წმინდა მოვალეობა მოითხოვს, რომ ყოველისფერი იქნას გაკეთებული, რათა ეს ძვირფასი სისხლი ამაოდ არ დაიღვაროს. არც ერთი შემთხვევა არ გაგვიშვია ხელიდან, რომ განადგურებულ ქვეყანას მშვიდობიანობა ხელახლა დაბრუნებოდეს. მაგრამ ჩვენი მტრების ბანაკში კაცობრიობის ჰუმანიური ხმა ჯერ კიდევ არ იპყრობს ყურადღებას. ყოველთვის ჩვენს მშვიდობიანობის სიტყვას ზიზღითა და დაცინვით ხვდებოდენ. ჩვენ მტრებს ჯერ კიდევ არ უნდათ ზავი. ისინი უსირცხვილოდ სულ ახალ-ახალი ცილის წამებით სცდილობენ გასვარონ გერმანიის წმინდა სახელი. მათი ორატორები მუდამ იმას აცხადებენ, რომ გერმანია განადგურებულ უნდა იქნასო. ამიტომ ვიმოქმედებთ და ვიბრძოლებთ შემდეგშიაც, როგორც დღემდე ძლევა მოსილნი ვიბრძოდით მტრების შემოტევის წინაალმდეგ, რომელნიც რიცხვით ჩვენზე გაცილებით მეტია, ვიბრძოლებთ, სანამ ეს უკანასკნელნი არ გამოაცხადებენ სურვილს, რომ მზად არიან იცნონ ჩვენი უფლებაც ცხოვრებისა.

ღმერთია ჩვენთან!“.

# პრესის მიმოხილვა.

„სოციალ-დემოკრატი“ უბრუნდება სამხედრო მინისტრის ბ. გიორგაძის სიტყვას. იგი იწერს სიტყვა სიტყვით მთელ ჩვენს შენიშვნას ვინმე ოვოდის წერილის შესახებ და დასძენს:

„უკვე შევეჩვიეთ იმ გარემოებას, რომ ჩვენ „დამოუკიდებელ საქართველოს მტრებს“ გვიწოდებენ... ეს ჩვენ არ გვაკვირვებს, მაგრამ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ისეთი დაბრმავება, რომ ვერ შენიშნოთ, ყოველთვის თუ რა ხდება ჩვენს გარშემო და ჩვენს მახლობლად. განა უნდა ვამტკიცოთ რომ ბათომი, ამ ჟამად „გერმანიის მოკავშირე“ ბარბაროსულ ოსმალეთის ხელში მყოფი—არის გული საქართველოსი“...

ისე დაბრმავება, რომ ვერ გაარჩიონ თუ რა ხდება ჩვენს მახლობლად ან და ჩვენს გარშემო კიდევ წარმოსადგენია, ზოგ ჩვენს მტერთაგანს გულში დაგუბებულმა ბოღმამ მოაკლო თვალის ჩინი, მაგრამ იმას კი ვერ წარმოვიდგენდით, თუ ეს ნაღველი მათზე ისე იმოქმედებდა, რომ დაავიწყდებოდათ ის, რასაც სწერდენ წინა წერილში.

ჩვენ იძულებულნი ვართ მოვაგონოთ მათი სტრიქონები „ბრძოლის ველის“ სისხლით მორწყვის შესახებ, არ გულისხმობდნენ ბათომს. თვით წერილში ნათლადაა ნათქვამი: „იქნებ მან (იგულისხმება ჩვენი სამხედრო მინისტრი) დაივიწყა, რომ კაცთა სისხლის ამ ნაკადებით ამ ჟამად ბაქო ირწყვება“. აქედან ცხადია, რომ როდესაც ჩვენ მტრებს „ბრძოლის ველი“ საქართველოს გულში ელანდებათ—აქ გულისხმობენ იმ ძალების შეჯახებას, რომლებიც დაინტერესებულნი არიან უმთავრესათ ბაქოთი. ახლა ვეკითხებით „სოციალ-დემოკრატს“: ნუ თუ ეძრახება ჩვენს სამხედრო მინისტრს იმ ჯარის და იმ მოკავშირის გამარჯვების სურვილი, რომლის დამარცხებასაც შეიძლება ჩვენი მოსპობა მოჰყვეს?

„სოციალ-დემოკრატი“ რიხით გაიძახის უკვე შევეჩვიეთ იმ გარემოებას, რომ ჩვენ „საქართველოს დამოუკიდებლობის მტრებს“ გვიძახიანო. პატიოსანი ადამიანი ცილის წამებას (რომ ეს ცილის წამება ყოფილიყო) დიდ შეურაცყოფად მიიჩნევდა, მაგრამ „უნამუსო ჯორზე შესვეს, აჩი არაფერიაო!“.

* * *

რომ ჩვენ ახალ ხანაში გადავდგით ფეხი, ეს თავისთავათ ცხადია. ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრება წესიერ მიმდინარეობაში ვარდება თანდათან. „ერთობა“ ამის გამო სწერს:

მდგომარეობა იცვლება. ჩვენი ქვეყანა ცდილობს ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს და უფლებრივ სახელმწიფოს დაემსგავსოს. ჩვენ უკვე გადავდგით საჭირო ნაბიჯი: გვაქვს საკანონმდებლო დაწესებულება—პარლამენტი და მთავრობა, პარლამენტის ნება სურვილების გამომხატველი, ამ რიგათ, მთელი ჩვენი რესპუბლიკის საქმეები ერთს ორგანოშია თავმოყრილი და ამ ორგანოდან ღებულობს მიმართულებას. საჭიროა ეს ცვლილება ყველამ იცნოს და შესაფერი ნაბიჯი გადადგან.

სწორედ ამაში მდგომარეობს თანამედროვე მომენტის დამახასიათებელი თვისებანი. და ამ შეცვლილ მომენტის გონიერი ცნობით და აღიარებით დაამტკიცებს ჩვენი ხალხი თავის პოლიტიკური შემოქმედების ნიჭს და უძლეველ სიყვარულს თავისუფლებისადმი.

# საუბარი პროფ. ცუგმაიერთან

ბაქოს ფრონტი.

გერმანიის საიმფორმაციო ბიუროს თავმჯდომარემ პროფ. ცუგმაიერმა დღეს ჩვენ თანამშრომელს გაუზიარა თავისი აზრი ბაქოს მდგომარეობის შესახებ.

ბაქოს შესახებ თუმცა ოფიციალური ცნობები არა გვაქვს ამ ჟამად, მაგრამ ცხადია ხმები, რომელნიც ამ დღეებში გავრცელდა ქალაქში ბაქოს გარნიზონის მიერ შემახის აღების შესახებ, სიმართლეს მოკლებულია. საქმე იმაშია, რომ გუშინდელი გაზეთების ცნობა, რომ ინგლისელები ბაქოში შევიდნენ და ქალაქის მდგომარეობა დღეს მტკიცეაო, მოწმობს მას, რომ მათ შემახა არ აუღიათ, რადგანაც ამ შემთხვევაში მარტო ბაქოს გამაგრებაზე კი არ ილაპარაკებდნენ, არამედ შეტევაზედაც.

სტამბოლის კონფერენცია.

სტამბოლის კონფერენციის შესახებ ბ. ცუგმაიერმა განაცხადა, რომ კონფერენცია ოფიციალურად გაიხსნება 25 აგვისტოს. კონფერენციას გერმანიის მხრით დაესწრება გრაფი ბერსდორფი, საქართველოდან კი გერმანიის მხრიდანვე გრაფი შულენბურგი. ამას გარდა კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ ავსტრიის, ბოლგარიის, ადერბეიჯანის და სომხეთის წარმომადგენელნი.

გერმანია, როგორც საქართველოს მოკავშირე, რასაკვირველია,ც დაიცავს მის დამოუკიდებლობას კონფერენციაზე, ადერბეიჯანთან და სომხეთთან კი მხოლოდ მეგობრული განწყობილება გვაქვს დ გერმანია ეცდება მათი დამოუკიდებლობა დაიცვას. კონფერენციას დაესწრება რუსეთის საბჭოს წარმომადგენელი.

# ეროვნული საბჭო

### მკათათვის 30-ს სხდომა მე-25-თე.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს ბატონ გრიგოლ ვეშაპელს.

ვ ე შ ა პ ე ლ ი. (ერ. დემ.) ბატონებო! როდესაც საბჭომ დაამტკიცა მთავრობისათვის ავანსად ათი მილიონის გადადება, მაშინ ჩვენ ვთქვით, შეიძლება ამხელა ავანსმა ტენდენცია დაუბადოს მთავრობას, საბჭოს დაუკითხავათ განახორციელოს ისეთი აქტები, რომელიც საბჭოს ინსტანციას მოითხოვს, და რადგან ფინანსიური წყარო მთავრობის ხელშია, იგი დაკმაყოფილდება მხოლოდ იმით, post factum ამცნობს საბჭოს თავის ნაბიჯებსო.

ამ კანონპროექტს სწორედ ასეთი ტენდენცია ეტყობა; მთავრობის თავმჯდომარე ითხოვდა, რომ საბჭოს მიეცა მისთვის უფლება, წინ და წინ საბჭოს დაუკითხავად, როგორც ლიკვიდაციისა, ისე რეორგანიზაციისა სხვა დაწესებულებებში.

იურიდიულ კომისიას უხერხულად უცვნია ასეთი დარღვევა საბჭოს საბიუჯეტო უფლებისა და რეორგანიზაციის უფლებაზე უარი უთქვამს, მხოლოდ ლიკვიდაციის უფლების შესახებ დაუკანონებია, მთავრობამ ერთი თვის განმავლობაში უნდა მოახსენოს საბჭოს ლიკვიდაციის აქტებიო.

უნდა ითქვას, რომ ეს წესი მოგვაგონებს ნეტარ-ხსენებულ რუსეთის სათათბიროს 87 მუხლს, რომლითაც მთავრობას უფლება ჰქონდა უთათბიროთ კანონები გამოეცა, და მერმე სამი თვის განმავლობაში მოეხსენებია დასტურისათვის... მაგრამ რუსეთში ამ წესს მაშინ მიმართავდნენ, როცა ან კანიკულები იყო ანდა პოლიტიკური მოსაზრებით სათათბირო დათხოვნილი იყო... ჩვენში რომ არც ისა და არც ეს არ არის!

იტყვიან, ეს იმის ბრალია, რომ მთავრობას იმდენი და ისეთი საჭირო საქმეები აქვს, რომ წინდაწინ საბჭოში ვერ ასწრობს!

კი, მაგრამ ჩვენი კანონები ხომ ისეთი რთული პროექტებით არ იწერება, როგორც ეს ევროპაშია. ჩვენ კიდევ დეკრეტებს უფრო ვცემთ, ვიდრე კანონებს ამ დეკრეტებს სულ ორი სამი პარაგრაფი თუ აქვთ, არც მთავრობას ეკარგება ბევრი დრო მათი დაწერით, არც ჩვენ პარლამენტს, რომ წინდაწინ დაკანონება გაძნელდეს.

დარჩა ერთი გარემოება, რომელმაც სწორედ მაიძულა აქ გამოვსულიყავი.

მთავრობა ლიკვიდაციის ხარჯებს ათი მილიონის ფონდიდან აპირობს დაფაროს; მთავრობა კი გულისხმობს ლიკვიდაციას ყველა იმ დაწესებულებათა, რომელნიც ამიერკავკასიასთან, კავკასიასთან და რუსეთთან გვაკავშირებდნენ... მერმე რაღა დარჩება მთავრობას იმ ათი მილიონიდან ამდენი რამის ლიკვიდაციის შემდეგ? მე მეშინია, რომ არაფერი!

ამიტომ საჭიროდ ვსთვლი განვაცხადო მთავრობისა და საბჭოს საყურადღებოდ, რომ არის ერთი ფონდი, რომელიც უფრო უნდა მოხმარდეს რუსეთთან საერთო სამოქალაქო და სამხედრო დაწესებულებათა ლიკვიდაციას.

ამ ფონდის შესახებ საინტერესო ცნობა იყო მოთავსებულია თბილისის; რუს-სოციალისტების გაზეთ „Трудовое Знамя“-ში (№ 15 7 ივლისი) ამ გაზეთზე მე გარკვეული შეხედულებისა ვარ, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტია, სადაც არ უნდა დაიბეჭდოს იგი“... იმპერატორი ფრიდრიხი ამბობდა, ფულს, გადასახადს სუნი არ უდისო... მით უფრო არ უდის სუნი ფაქტებს...

ჰო და ამ ფაქტს ასე მოგვითხრობს გაზეთი:

**Открытое письмо членамъ бывшей „особой коллегіи“.**

Граждане. Прошло уже болѣе трехъ мѣсяцевъ съ того времени, какъ центральнымъ россійскимъ правительствомъ были посланы милліоны рублей (говорятъ тридцать) предназначенныхъ исключительно, для расчетовъ съ чинами 6. кавказскаго фронта. Распредѣленіемъ этихъ денегъ завѣдывали вы, члены особой коллегіи.

Не взирая на столь продолжительный срокъ вашей финансовой дѣятельности, до сихъ поръ въ печати не было ни вашего отчета, ни вообще о вашей дѣятельности, что, естественно, вызывало и визаветъ всевозможные толки и разговоры. Поэтому я, одинъ изъ заинтересованныхъ въ правильномъ полученіи присланныхъ денегъ, дѣлаю попытку задать вамъ нѣкоторые вопросы, увѣренный, что печатно же получу обстоятельные отвѣты, дать которые по моему мнѣнію, въ вашихъ интересахъ, какъ все же общественной организаціи:

1) Въ чье распоряженіе были присланы для расчета деньги совѣтомъ народныхъ комиссаровъ и въ какомъ размѣрѣ?

2) Какъ и изъ кого составилась особая коллегія и были ли приглашены въ ея составъ представители военныхъ и военно-общественныхъ оргонизацій кавфронта?

3) Какими принципами руководилась коллегія при распредѣленіи денегъ?

4) Чѣмъ объяснить, что присланныя изъ Россіи деньги, при выдачѣ выдавались не полностью русскія? Напр. финансовая комиссія воен. жел. дор. кавфронта изъ предназначенныхъ ей 1,400,000 р. русскими деньгами получила только 900,000 р., а остальные бонами.

5) Всѣ ли присланныя деньги (тридать милліоновъ?) распредѣлены полностью или имѣется остатокъ, если да, то въ какомъ размѣрѣ и куда онъ поступилъ?

6) Правда ли, что послѣ распаденія особой коллегіи имѣвшійся остатокъ, въ суммѣ около восьми мил. рубл. (8,000,000 р.) переданъ въ мѣстный исполнительный комитетъ? Если это вѣрно, то почему и для какой надобности? Также отчего деньги не поступили въ распоряженіе общероссійской организаціи? напр. въ комисію ген. Максимова или въ русскій націон. совѣтъ?

Я питаю надежду, что на всѣ поставленные мною вопросы въ самомъ непродолжительномъ времени получу отвѣты что не только нѣсколько успокоитъ заинтересованныхъ лицъ, но и до. нѣкоторой степени прекратить циркулирующіе слухи довольно некрасиваго свойства, о которыхъ, вѣроятно, и вамъ извѣстно.

Итакъ, слово за вами, граждане.

Бывшій членъ финансовой комиссіи военныхъ ж.-д. кавфронта; **А. Флейшеръ.**

ამ წერილზე თბილისის პრესაში არავის საჭიროდ არ უპასუხია...

მე კი ამით იმის თქმა მინდა, რომ როცა რუსეთთან საერთო დაწესებულებათა ლიკვიდაციაზე ვლაპარაკობთ და ფინანსიურ წყაროს ვეძებთ, ამ 30 მილიონის ფონდიდან დარჩენილი მილიონები თავის დანიშნულებას უნდა მოხმარდეს...

და თუ ამ ჟამად ქართულ ხაზინას ძალაუნებურად დაეკისრა რუსეთთან საერთო აუარებელ დაწესებულებათა, აუარებელ მოხელეთა, აუარებელ პრეტენზიების დაკმაყოფილება, ეს იდუმალედ შენახული მილიონებიც ქართული ხაზინის ხელში უნდა იყვნენ.

შეიძლება მილიონების ცალკე სადღაც გადამალვა იმით აიხსნება, რითაც ხსნიან ზოგიერთი სამინისტრო უწყებანი იმ ფაქტს, რომ ხაზინის ფული ხაზინაში კი არა—საკუთარ სკივრებში აქვთ შენახული? „პოლიტიკური მდგომარეობის გაურკვევლობით“ ხსნიან ხაზინის ფულების დიფერენციაციას...

მაგრამ სწორედ დღესმთავრობის მოამბეში ფინანსთა სამინისტროს განკარგულება არის დაბეჭდილი, ყველა დაწესებულებებმა ფული ხაზინაში უნდა შეინახონ!

სჩანს „პოლიტიკურ გაურკვევლობას“ ბოლო ელება... ბოლო უნდა მოეღოს ფინანსიურ გაურკვევლობასაც და სახელმწიფოს კუთვნილი მილიონები სადღაც გადამალუნი მუშათა საბჭოს მიერ ხაზინას უნდა ჩაბარდეს!..

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის საბჭოს წევრს რაჟდენ არსენიძეს.

რ. ა რ ს ე ნ ი ძ ე. (ს. დ.) რა საკვირველია ყველა საგანზე შეიძლება ლაპარაკი, მაგრამ აქ საჭიროა საგანზე ლაპარაკი. ჩვენ წინაშე წარმომდგარ კანონ-პროექტს აქვს ორი მხარე იურიდიული და ფინანსიური. თუ ამ ორ მხარეს მივაქცევთ ყურადღებას, მაშინ სრულებით საჭირო არ არის იმის მოგონება, თუ ვინ სად რა გააკეთა. ამიტომ მე სრულიად არ შევეხები, თუ რას სწერს რუსული გაზეთი ან და ვის რას უკიჟინებს. მე პირდაპირ გადავალ კანონ-პროექტზე. ამ კანონ-პროექტს აქვს

2 მხარე და ორი დიდი მნიშვნელობა. პირველი: გაუადვილებს სახელმწიფოს ის დამარღვეველ მუშაობას, რომელსაც აწარმოებს იგი მეორე სახელმწიფოდან ჩამოშორების შემდეგ. ჩამოშორება ერთი სახელმწიფოსი მეორე სახელმწიფოდან ეს დიდი რევოლიუციონური აქტია. დიდი ნახტომია, მაგრამ ამ დამარღვეველ მუშაობის კანონიერობის გზით წაყვანა ყველაზე უფრო ძნელია. სახელმწიფოდან ჩამოშორების შემდეგ აუარებელ დამარღვეველ მუშაობის წარმოება არის საჭირო, ასეთ შემთხვევებში თითქმის ათი წლები არის საჭირო. მაგრამ თუ ჩვენ დარღვევას უცადეთ, მანამდის სანამ საპარლამენტო კანონი არ შევიმუშავეთ, მაშინ ყოველ შემთხვევაში არ უნდა გვქონდეს იმედი რომ მთავრობის სურვილები განხორციელდება, ჩვენ საპარლამენტო კანონი არა გვაქვს, მაგრამ გვაქვს პარლამენტი. ჩვენ რომ ჯერ საპარლამენტო კანონი შეგვემუშავებინა და შემდეგ გაგვეხსნა პარლამენტი ჯერ აქ არ ვიქნებოდით, ასევე უნდა ითქვას ზოგიერთ იმ დაწესებულებებზე, რომლებიც ძველ მთავრობას ემსახურებოდნენ, მათ დარღვევის შესახებ ჩვენ კანონები არ გვაქვს, მაგრამ იძულებულნი ვართ დავარღვიოთ.

ეს დამარღვეველი მუშაობა ჯერ პარლამენტის გზით და შემდეგ ტეხნიკურად დიდ დროსა და ფულს მოითხოვს. მეტად საზარალოა ფული ვაძლიოთ ამ ორგანიზაციებს მანამდის, სანამ მათ დარღვევის შესახებ კანონს მივიღებდეთ. ამიტომ მივიღეთ ეს კანონი, რომ ეს არაჩვეულებრივი მდგომარეობა მოგვეცილებინა მთავრობის მოქმედებით.

მერე განა ეს § 1 ჰგავს იმ 87 მუხლს, რომელიც აქ მოიგონეს, აქ არავითარი ანალოგია არ არის. 87 მუხლი მთავრობას ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებებს, ეხლა ამ უფლებით პარლამენტია აღჭურვილი, მას რასაც მთავრობა სწყვეტდა ეხლა თვით პარლამენტი სწყვეტს და არა მთავრობა. ეს არის უმთავრესი განსხვავება. მართალია მეორე მხრივ ამ კანონ-პროექტის მეორე მუხლის თანახმად ჩვენ კანონს ვღებულობთ, მაშინ როდესაც მოქმედება უკვე შესასრულებელია, მართალია კანონი უნდა უსწრებდეს მოქმედებას, ამ შემთხვევაში კი უკან სდევს, მაგრამ პოლიტიკურად ამ მუხლს დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს თეორია, რომ კანონი უეჭველად წინ უნდა უსწრებდეს მოქმედებას, რამდენადაც ვიცით შეიძლება რომ მხოლოდ ნიკოლოზის დროს არ ყოფილიყოს უარყოფილი. დღეს ჩვენ ეს უნდა მივიღოთ. ასეთ გზით მთავრობა მეტ გამოცდილებას შეიძენს და მეტ გამოცდილებას დაეყდრნობა. მთავრობა თავის მოქმედების დროს ანგარაშს გაუწევს იმ გარემოებას, თუ რამდენად გამოსადეგია ესა თუ ის დაწესებულება სახელმწიფოსთვის, რა არის საჭირო, რა საზიანო და შემდეგ უფრო ადვილი იქნება მთავრობისთვის კანონ-პროექტით შემოსვლა. შემდეგ უფრო ადვილი იქნება კომისიებისთვის მუშაობა.

დღეს კი მიუხედავად იმისა, რომ კომისიებში არიან როგორც მემარჯვენენი ისე მემარცხენენი კანონებს სიღრმავე არ ემჩნევათ. მეტი გამოცდილება ამ დარგში არც მთავრობისთვის იქნება ზედ მეტი და არც ჩვენთვის.

რაც შეეხება იმის თქმას, რომ კანონ-პროექტის პირველი მუხლი, სადაც ლაპარაკია საქართველოს ტერიტორიაზე დარჩენილ რუსეთი,, კავკასიის და ამიერკავკასიის საერთო დაწესებულებათა ლიკვიდაციის შესახებ, შეეხება ამიერ კავკასიის ფრონტსაცო—მე ეს მიულებლად მიმაჩნია. ამ კანონ-პროექტის ამიერ კავკასიის ფრონტთა დაკავშირება არის სრულიად მიზან შეუწონელი მოქმედება.

მე უნდა განვაცხადო, რომ ამ კანონ-პროექტში სრულიადაც არ არის ფრონტზე ლაპარაკი. აქ ლაპარაკია მხოლოდ სახელმწიფო დაწესებულებებზე რუსეთის, კავკასიის და ამიერ კავკასიის. აქ იგულისხმება ცენტრალური სასამართლოები. ამ კანონ-პროექტით იუსტიციის მინისტრს ენდობა სასამართლო თვის მხედველობისამებრ შეამციროს. ასევე უნდა მოხდეს სხვა დაწესებულებათა ლიკვიდაცია. შემდეგ ჩვენ აქ დავაკანონებთ მთავრობის მიერ ამ მხრივ გადადგმულ ნაბიჯებს. თავისთავათ ცხადია, არც სასურველი იქნებოდა ეხლავე დაგვენიშნა შტატებიო. ამას თვით გამოცდილება გვიჩვენებს, და შემდეგ ჩამოყალიბდება ის შტატები, რომელიც სასურველია. მაშასადამე ეს კანონ-პროექტი, უნდა მიღებულ იქმნას. ზედმეტია ლაპარაკი მხოლოდ იმიტომ, რომ თქვა და უპასუხო. პასუხი პოლიტიკურ მოღვაწისთვის საჭირო არ არის.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის სურს სიტყვა? სიტყვა ეკუთვნის გრიგოლ ვეშაპელს.

გ. ვ ე შ ა პ ე ლ ი (ეროვნულ დემოკრატი.) რაც ვთქვი, ის გათვალისწინებული მქონდა, როგორც არსებითად, ისე ფორმალურად: ფორმალობის მიხედვით ეს კანონ-პროექტი ეხება ყველა იმ დაწესებულებათა ლიკვიდაციას რომელნიც გვაერთებდნენ ჩვენ ამიერ კავკასიასთან, კავკასიასთან და მთელ რუსეთს, ესე იგი აქ ნაგულისხმევია, როორც ჩვეულებრივი სამოქალაქო, ისე საგანგებო სამხედრო, საფრონტო დაწესებულებანი; თქვენი საკუთარი პრესაც გვამცნობს, თუ როგორი ალყა არტყია ქართულ ხაზინას სწორედ ამ უკანასკნელ, საფრონტო დაწესებულებათა მოხელეების და აფიცრების გასტუმრების გამო; ეს საქმე საგანგებო კომისიას აბარია, გენერალ მაქსიმოვის ხელმძღვანელობით და განა მაქსიმოვს არ მიუმართავს რამდენჯერმე სალიკვიდაციო თანხის მისაღებად სწორედ ქართული მთავრობისთვის; თვით, რუსთა ეროვნული საბჭოც უჭერდა მხარს გენერალ მაქსიმოვის თხოვნებს და იმუქრებოდა, სხვანაირად მოხდება სალიკვიდაციო დაწესებულებათა სამხედრო პერსონალის ევაკუაცია საქართველოდანო; და თუ ისეთი მდგომარეობაა, რომ ეს საფრონტო ხარჯები ძალაუნებურად ქართულ ხაზინას აწვება, განა წესიერი არ იქნება, რომ ფრონტის ლიკვიდაციისათვის რუეთის კომისარების მთავრობიდან გამოგზავნილი მილიონები მთავრობის და ხაზინის ხელში იყოს? სულ ერთია, ასე თუ ისე ამ მილიონების დახარჯვის პასუხის გებას საქართველოს მოსთხოვენ მომავალში; მით უფრო რომ ეს მილიონები მიუთვისებია ისეთს ორგანიზაციას, რომელსაც სახელმწიფო კონტროლიორის როლი აქვს დაკისრებული: მე მოგახსენებთ თბილისის მუშათა და სალდათა საბჭოზე, რომელსაც თავჯდოიმრეობს საქართველოს მთავრობის თავჯდომარე ბ-ნი ნოე ჟორდანია, და რომელმაც სულ რამოდენიმე დღის წინად დაადგინა, აქ კი არა, იქ—კირნეს ქუჩაზე ზუბალოვის სასახლეში—ბ. ირაკლი წერეთლის მორიგი რეზოლუციით—მუშათა საბჭოს მთავრობის კონტროლის ფუნქცია აქვსო... ასე რომ მუშათა საბჭო ჩვენი დაუწერელი კონსტიტუციის მიხედვით მეორე სახელმწიფო კონტროლიორი არის...

## პარლამენტის გარშემო

შეკითხვა.

ეროვნულ საბჭოს წევრმა ალ. ახმეტელმა შემდეგი განცხადება შეიტანა ერ. საბჭოში: საქართველოს ერ. საბჭოს თავმჯდომარეს! „სანოვაგის და უფრო კი პურის წარმოუდგენელი სიძვირე საშინელ უკმაყოფილებას იწვევს საზოგადოებაში. რესპუბლიკის მტრები უხვად სარგებლობენ სანოვაგის სიძვირით გამოწვეულ მდგომარეობით და ორგანიზაციულად აგიტაციას ეწევიან საქართველოს დამოუკიდებლობის და რესპუბლიკის მთავრობის წინააღმდეგ. მოსალოდნელია ამ ნიადაგზე ყოველგვარი არეულობა და ექსცესები.

იცის თუ არა ყველა ეს მთავრობამ და, თუ იცის, რა ზომების მიღებას ჰფიქრობს შექმნილ მდგომარეობის გასაუმჯობესებლად."

ხელოვნების კომისია

საქართველოს ეროვნულ საბჭოს ხელოვნების კომისიის უკანასკნელ სხდომაზე ხმის უმრავლესობით გადაწყდა, რომ დაარსდეს დამოუკიდებელ „ხელოვნების მთავარი გამგებლობა", რომელიც მხოლოდ ეროვნულ საბჭოს წინაშე იქნება პასუხის მგებელი. ამ ხელოვნების მთავარ გამგებლობასთან იქნება საბჭო, რომელიც შესდგება ხელოვნების ყოველივე დარგის ორ-ორი წარმომადგენლებისაგან. კომისიის ეს დადგენილება კანონ-პროექტის სახით წარედგინება ეროვნულ საბჭოს დასამტკიცებლათ.

## დეპეშები.

(დეპეშათა სააგენტო)

20 აგვისტო.

მ ო ს კ ო ვ ი. საბჭოთა მთავრობამ კონფისკაცია გაუკეთა ამერიკის საპროპაგანდო ლიტერატურას, რომელშიაც მართლდება შეერთებულ შტატების პოლიტიკა, მტკიცდება ამერიკელთა მეგობრული განწყობილება რუსეთთან.

კვირას მოსკოვში დაათვალიერეს საბჭოთა ჯარები. მოსკოვის ახლო ყოველ დღე ვარჯიშობენ მუშათა და გლეხთა ჯარები, რიცხვით 30000 კაცი.

მ ო ს კ ო ვ ი. ჩეხო—სლოვაკების ფრონტი. ჩეხო—სლოვაკების ნაწილები მოუწოდებენ მოსახმარებლად ანგლისელებს და ფრანგებს. ინგლისელთა გაზეთები ამის შესახებ ამბობენ, რომ ჩეხო—სლოვაკებს უნდა დაეხმარონ.

პ უ რ ი. ვორონეჟით შუა გულ რუსეთში მოდის 92 ვაგონი პურის მარცვალი. აქედან უმეტესი ნაწილი იქნება მოსკოვისა და ვლადიმერის გუბერნიების განკარგულებაში.

ს ა ზ ღ ვ ა რ გ ა რ ე დ. გერმანელების პრესის ყურადღება მიიქცია მთავარ ბინაზე თათბირმა, რომელიც დანიშნულია 21 აგვისტოსთვის სადაც შესდგება მორიგი კრება ცენტრალურ სახელმწიფოების მონარქებისა. გაზეთების სიტყვით კრებაზე გაირჩევა რუსეთის საკითხი, განსაკუთრებული ყურადღება კი მიექცევა პოლონეთის საკითხს.

ინგლისის დეკლარაცია. ინგლისის მთავრობამ გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც აცხადებდა, რომ ჩეხო—სლოვაკებს უყურებს როგორც მოკავშირე ხალხს.

ბ ე რ ლ ი ნ ი, 19 აგვისტო. სამხედრო ცნობა. დასავლეთის ფრონტი. კრონ-პრინც რუპრეხტის ლაშქარი. ბეილელიდან სამხრეთ-დასავლეთით ძლიერი ცეცხლის შემდეგ, მეტერენისა და ბერისომის შუა ინგლისელთა იერიშები დაიწყო, რომელიც მალე მოვიგერიეთ. ლისის ორივე მხარეზე მტრის რაზმები ენერგიულ დაზვერვას აწარმოებენ. ანკრის ჩრდილოეთით ბრძოლის დროს ჩვენი პოზიცია წინ წავიწიეთ და რამდენიმე ტყვე წამოვიყვანეთ.

ვ ე ნ ა, 19 აგვისტო. პიავზე იტალიელების მზვერავ რაზმების ცდას ნაყოფი არა ჰქონია.

ს ტ ა მ ბ ო ლ ი, 19 აგვისტო. პალესტინის ფრონტი. ლიუდ-ტულ-კერმის რკინის გზის აღმოსავლეთით მტრის მზვერავთა რაზმები უკუ ვაქციეთ. მერდეხ-კესფასთან ძლიერი მზვერავ რაზმების შემოტევა ვძლიეთ და გავაქციეთ, თან დიდი ზარალი მივაყენეთ. სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

პარიზი, 19 აგვისტო. გასულ დღე-ღამეში მატცას და უაზის შუა ფრანგების ჯარები წინ მოიწევდენ. მიუხედავათ გერმანელთა ჯარების ძლიერი წინააღმდეგობისა, დავიპყარით ფრესკერი და ლასინის დასავლეთ მისავალს მივუახლოვდით. სამხრეთით ტიესკურის ტყიდან გამოვიდენ ფრანგთა ჯარები. მდინარე ენის ჩრდილოეთით სარლეპონტისა და ფუანტენის შუა, ფრანგების ჯარებმა დაიპყრეს სოფ. მორსტენი. ამ შეტაკების დროს 2.200 ტყვე წამოვიყვანეთ. დანარჩენ ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

ბ ე რ ლ ი ნ ი, 19 აგვისტო. კიევიდან იუწყებიან, რომ საქართველოში, გერმანულ ჯარების შესვლის შემდეგ საუცხოვო წესიერება სუფევს. საქართველოს ჯარების ორგანიზაცია გრძელდება.

## ა მ ო ნ ა წ ე რ ი

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებიდან.

მიეცეს ნება მომარაგების კომიტეტს გაგზავნოს ტყვიბულში ქვა-ნახშირის წარმოებისათვის საჭირო ფული.

მარილის შესახებ შესაკვრელ ხელშეკრულობის გამო მიენდოს ამ საკითხის გასინჯვა ფინანსთა-ვაჭრობა-მრეწველობის და სასურსათო და იუსტიციის მინისტრთა თანაშემწეებს.

მიეცეს ნება სასურსათო საქმის განსაკუთრებულ რწმუნებულს გაგზავნოს ფასდადებით გურია-სამეგრელოსათვის საჭირო პური.

შესახებ ბადიაურში პურის რეკვიზიცისა გადაიდოს ამ საკითხის მსჯელობა შემდეგ სხდომისათვის.

მიეცეს კალანდარიშვილს 500 ფუთის მოცვის გატანის ნება ქუთაისიდან, ხოლო შალის გატანაზედ უარი ეთქვას.

მიეცეს 10 მილ. ფონდიდან გორის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლეს თანაშემწეს ბ-ნ კანდელაკს 1232 მ. 88 კ. მიმოსვლის ხარჯების დასაფარავად.

უფლება გენ. დადეშქელიანისა პენსიაზე ცნობილ იქმნას, ხოლო ფულის მიცემაზედ უარი ეთქვას, რუსეთთან ფინანსიურ ურთიერთობის და საკითხების გამორკვევამდის.

მიენდოს გარეშე საქმეთა მინისტრს გამართოს მიწერ-მოწერა უკრაინის გარეშე საქმეთა მინისტრთან შემდეგი საკითხების შესახებ: 1) მოაწვდინოს საქართველოს შაქარი, არა ნაკლები 91.000 ფუთისა თვეში; 2) იმ პირობის შესახებ, რომლითაც უკრაინის მთავრობას შეეძლება მოაწვდინოს შაქარი საქართველოს.

თბილისის სატეხნიკო სასწავლებლების შესანახად ამ წლის დამლევამდე 51.804 მან. 95 კაპ. ხაზინიდან გადადების შესახებ—გადაეცეს ფინანსთა მინისტრს თავის აზრის დასასკვნელად.

## ახალი ამბები.

### მთავრობაში.

○ სახალხო გვარდიის მდივანი ხარაში გაემგზავრა კავკავს. კავკავში წასულ საგანგებო დელეგაციის წევრთა გერ. მახარაძის, ილ. ქარცივაძისა და სხვ. მოსაძებნად, რომელთაგანიც არავითარი ცნობა არ მოდის.

○ სასოფლო კომისიამ დაადგინა, რომ განახლებულ იქმნეს მოქმედება საგუბერნიო სააღმასრულებელო კომიტეტისა და ერობის შემოღებამდე საადმინისტრაციო თანამდებობებზე იქმნეს დანიშნული სხვა და სხვა პირები.

○ ვაჭრობა მრეწველობის სამინისტრომ ფვის რწმუნებულის ინჟ. ი. ა. ყიფშიძის მოხსენებისა თანახმად გაადიდა გადასახადი ოქრო ვერცხლის ნივთებისა და სასწორის ჰდევაზე.

◆ სამხედრო მინისტრის განკარგულებით სამხედრო სტამბის გამგე დათიაშვილი თანამდებობიდან გადააყენეს და მის მაგიერ ამ თანამდებობაზე დაინიშნა პოდპოლკ. ჰაფოძე.

◆ საგანგებო კომისიამ დაასრულა განხილვა დებულებისა საქართველოს წყლების გამოყენების შესახებ. პროექტი წარედგინა მთავრობას დასამტკიტებლად.

○ 21 აგვისტოს დანიშნულია იმ კონცესიის განხილვა, რომელსაც ხოშტარია და ლვოვი თხოულობს მდ. რიონზე საელექტრონო საქმის მოწყობის შესახებ.

### „ბალშევიკური" მოძრაობა

○ სასოფლო კომისიას ატყობინებენ რომ სოხუმის ოლქში ბალშევიკური მოძრაობა სრულიად ნელდება და სარევოლიუციო ორგანიზაციათა ავტორიტეტი ხალხის თვალში სრულიად აღდგენილია.

### ხელოვნება.

○ 18 აგვისტოს შესდგა კრება ქართველ სამუსიკო საზოგადოების წევრთა. კრებამ დაამტკიცა წესდება და აირჩია ახალი გამგეობა, რომელშიაც შედიან: მ. ბალანჩივაძე, ე. მაჩაბელი, დ. არაყიშვილი, ილ. აბაშიძე, ანდ. ყარაშვილი, ალ. წუწუნავა და დეკ. ი. ჩიჯავაძე, კონდიდატებათ, ტარუაშვილი და სულხანიშვილი.

### ბოროტმოქმედება.

○ 16 აგვისტოს საბურთალოზე ვიღაც ბოროტმოქმედება მოჰკლეს თავის ბინაზე ვ. სტეპანენკო.

○ საქონლის მიმწვდელ კომიტეტის საწყობიდან. (ელისაბედის ქ. № 155) გაძარცული იყო დიდძალი საქონელი... მილიციამ შეიპყრა ქურდები, რომელიც აღმოჩნდენ სადარაჯოს უფროსი და დარაჯები.

○ 16 აგვისტოს რკინის გზის გადაღმა თფ. სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა გ. და მ. ეპიფანოვები, გ. გონტერი პ. ბაშკინი და კ. ბოროდვინი. გამოძიებამ გამოარკვია რომ ეს პირნი დიდი ხანია რკინის გზის გადაღმა რაიონში სცარცვავდნენ მცხოვრებლებს და ქურდობას ეწეოდნენ.

### სხვა დახ ხვა ამბები.

○ დასავლეთ საქართველოს ექიმთა კავშირისაგან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „რკინის გზის ექიმების დადგენილებით და პრესაში მოთავსებულ ცნობებით ექიმ მუსხელიშვილის საქმე, გულის ტკივილით დაინახა, რომ 15 წლის ნამსახური ექიმის გაუსამართლებლად დათხოვნა სრულებით უკანონო და ანტიდემოკრატიულია. ამხანაგ მუსხელიშვილს ვუცხადებთ ჩვენს თანაგრძნობას და დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი კავშირის არც ერთი წევრი საქმის საბოლოოდ გამორკვევამდე, მის ადგილს არ დაიჭერს. კრება სურვილს გამოსთქვამს, რომ ეს საქმე მთავრობის მიერ, რაც შეიძლება მალე გაირჩეს და რომ ასეთ აღშფოთებლობის ხანაში საექიმო სანიტარული საქმეს სპეციალისტები განაგებდნენ.

○ 15 აგვისტო. მთავრობის თავმჯდომრის მოადგილე ნ. ვ. რამიშვილთან წარსდგნენ ამიერ კავკ. რუსთა წარმომადგენელნი და ითხოვეს რომ უმიზეზოთ არ იქმნენ ხოლმე დაპატიმრებულნი რუსები სირინისა და სხვათა მზგავსად.

### ერობა.

○ ქ. ქუთაისში არჩევნები დასრულდა. 23 ათას ამომრჩეველთაგან 4409 ამომრჩეველი მონაწილეობდა. მიიღეს ს.-დ. და ს.-ფ. 3150 ხმა, ერ.-დ. 1119 ხმა და ს.-რ. 140.

### სხვა და სხვა ამბები.

○ გზათა სამინისტროს ცნობით, გაზეთებში მოთავსებული ცნობა ტყიბულის ქვა ნახშირის მაღაროს მუშების გაფიცვის შესახებ, სიმართლეს მოკლებულია. მუშებს მხოლოდ მოთხოვნილებანი წარუდგენიათ ადმინისტრაციისათვის.

○ ტფილისში ჩამოვიდა და თავის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა მთავრობის თავმჯდომარე ნოე რამიშვილი.

○ ტფილისში მიღებულ ცნობილ ყარაბახს გამოუცხადებია დამოუკიდებლობა. მის საზღვრებში შედის მთელი შუშის მაზრა ან ნაწილები ჯევანშირისა და ზანგეზურის მაზრების. მთავრობაში შედის სხვათა შორის ერთი წარმომადგენელი მაჰმადიანთა ლიუთფალი ბეკ. ბებუთოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

○ ამ დღეებში დ. დელიჟანზე და კარაკლისზე განჯისკენ გაემგზავრა ოსმალთა ძლიერი რაზმი, არტილერიის ტყვის მფრქვევლებითა და სხვა მასალით. რაზმის უმრავლესობას შეადგენს არაბები და ქურთები.

○ ნურინ ფაშას გერმანიის სამხედრო დელეგაციისთვის განუცხადებია, რომ ყარაბაღის რაიონში ოსმალთა კომენდანტები იქნებიან დანიშნულნი.

## ყალბი ფულები.

ყალბი ფულების მჭრელთა და გამსაღებელთა შესახებ, რომელიც ჩვენს გაზეთში იყო მოთავსებული, მივიღეთ შემდეგი დაწვრილებითი ცნობები.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობა მოუვიდა, რომ არსებობს მთელი ბრბო ყალბ ფულების კერენსკის ორმოც მანეთიანის მჭრელთა და გამსაღებელთა, რომელთა სააგენტოებიც თბილისსა და ბორჯომში იმყოფება. სამინისტროს დავალებით ბორჯომში გაგზავნილ იქმნა საგანგებო რაზმის უფროსის თანაშემწე პ. ზ. პაჩულია რაზმის ერთ ერთ თანამშრომელთან ერთად. მიხაილოვის სადგომზე პაჩულიამ შეიპყრო იოს. ტორონაშვილი, რომელსაც ზედ აღმოაჩნდა ყალბი კერენსკის 5360 მან. 40 მანეთიანები. მან განაცხადა რომ ეს ფული გადმომცა ბორჯომში მცხოვრებ მეერ კაკეტაშვილმაო. პაჩულია გაემგზავრა ბორჯომს და კაკეტაშვილი თვის ბინაზე შეიპყრო. მართალია მას ბინაზე ყალბი ფული არ აღმოაჩნდა, მაგრამ იგი გამოტყდა რომ ის ყალბი ფული, რომელიც ტორონაშვილს აღმოაჩნდა ჩემი გადაცემულიაო, მე კი ეს ფული მივიღე ტფილისში ალ. გაბილაიასაგანაო, პაჩულია ბორჯომიდან გამოემგზავრა ტფილისს დ გაბილაია შეიპყრო თვის ბინაზე.

მას ზედ აღმოაჩნდა 11.440 მან. ამ დროს გაბილაიას ბინაზე მოვიდა ვინმე კუჭავა, რომლის ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ პაჩულიამ გამოიხმო მეორე თანაშემწე საგანგებო რაზმის უფროსისა მ. კედია და მასთან ერთად გაემგზავრა კუჭავას ბინაზე არტილერიის ქუჩაზე. აქ მათ აღმოაჩინეს ფულის საჭრელი მანქანა და დამზადებული ქაღალდი ერთ მილიონ მანეთისა. ამავე კუჭავას ბინაზე მოულოდნელად შემოვიდა ვინმე სამუილ იხილჩიკი, რომლის ჩვენების ჩამორთმევის შემდეგ პაჩულიამ და კედიამ მისი ბინაც გაჩხრიკეს, მაგრამ იხილჩაკის ბინაზე არაფერი არ აღმოჩნდა; ჩხრეკის დროს იხილჩაკის სახლში შემოვიდა ონ. გ. მურადიანცი, რომელსაც, აღმოაჩნდა ყალბი ფული 14160 მანეთისა, ყველა ზემო აღნიშნული პირნი შეიპყრეს და მეტეხის ციხეში გაგზავნეს. გამოძიება სწარმოებს.

## ბაქოს ამბები.

ბაქოდან ახლად ჩამოსულს შემდეგი უამბია ჟურნალის რედაქციისათვის.

ერთი კვირაა, რაც ბაქოდან გამოვიპარე. ბოლშევიკების მთავრობა ჩამოგდებული იყო. ოსმალთა ჯარები 3—4 ვერსის მანძილზე იყო ბაქოდან. სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. სამი კვირის განმავლობაში იგერიებდენ ბაქოელები ოსმალებს; ყუმბარები, ტყვია წამალი საკმაოთ ჰქონდათ, მაგრამ მაშველი ჯარების იმედი არსაიდან იყო და ეს ძლიერ ღალავდა სულიერათ მეომართ. გამოცხადებულია მობილიზაცია, გაჰყავთ თითქმის 50 წლის კაცები. არ ეპყრობიან კარგათ ქართველებს. ბოლშევიკების მთავრობის დროს არც ერთი გაზეთი არ გამოდიოდა, რომ საქართველოს, წერეთლის, ჟორდანიას, გეგეჭკორის და სხვა ამხანაგების ლანძღვა გინება არ ყოფილიყო შიგ. ყოველ კრებაზე გვიმტკიცებდნენ ჟორდანია-წერეთლის გამყიდაობას. ჩვენ გული გვიკვდებოდა. ქართველობა მოუთმენლათ მოელის იმ დღეს, როცა გზა გაიხსნება საქართველოში წარმოსასვლელად. ყველანი ზიზღით უყურებენ ჯაფარიძეს, რომელმაც ბაქოელი ქართველების სახელით დეპეშა გამოუგზავნა ჩხეიძეს და აცნობა, რომ ბაქოში ქართველებს კარგათ ეპყრობიანო და თვით ჩვენს მთავრობას უკიჟინებდა, ვითომც ის არ იცავდეს სხვის ინტერესებს. მცხოვრებნი საშინელ სიმშილს განიცდიან. გირვანქა პური 17—18 მან. ღირს. ერთი თვის ბაქოში ყოფნის შემდეგ ძლივს შევძელი გამოპარვა. 26 ამხანაგი, რომლებიც ჩემზე წინ წამოვიდენ, განჯაში არიან დაპატიმრებულნი.

## საშუალო სკოლის რეორგანიზაციის გამო*).

საქართველოს რესპუბლიკას ყველა საფეხურის სახელმწიფოებრივი სკოლა ესაჭიროება; ამ რთულ საქმის რიგიანად მოწყობას ბევრი რამ აბრკოლებს,—უმთავრესად ჩვენი საზოგადოება ვერ უწევს შესაფერ დახმარებას განათლების ხელმძღვანელებს, ვინაიდან ქართული პედაგოგიური ტრადიცია არ შექმნილა. განსაკუთრებული მნიშვნელობა სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში საშუალო სკოლას ეძლევა დ ჩვენ მის სრულ გარდაქმნის წინ ვდგევართ. თუ დაუკვირდებით ევროპიულ სკოლის ისტორიას, დავინახავთ, რომ მისი მსვლელობა ნელი და დინჯი ნაბიჯით ხდებოდა, ამ გარემოებას დღევანდელ პირობებში გადამწყვეტ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ—სახელმწიფოებრივი მოვალეობა, სხვა და სხვა შექმნილი რთული პირობები დაჩქარებას მოითხოვენ, აბსოლუტური პრინციპებით ვერ ვიხელმძღვანელებთ.

დასავლეთ ევროპაში სწავლა-აღზრდის მოწყობას კისრულობს მთავრობა და საზოგადოება, მათ შორის განუწყვეტელი კავშირი და თანამშრომლობა სუფევს და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან დემოკრატიულ ხანაში ვცხოვრობთ; დემოკრატიზმის აღიარება ერთგვარი პოსტულატია ამ დარგში ყოველივე ინიციატივის ან საქმიანობის გამოჩენისა—ახალ თაობის აღზრდა დემოკრატიის საქმეა,—ეს მოითხოვს სწავლა-აღზრდის სრულ დეცენტრალიზაციას, ასე ფიქრობენ მაგალ. ინგლისში დ ამერიკაში, გერმანიაშიც პროფ. რგინის აზრით სკოლის ორგანიულად მოწყობა ოჯახიდან უნდა დაიწყოს, ეს საქმე მშობელთა თემობრივ კავშირების ხელში უნდა გადავიდეს, ამ ნიადაგზე აღმოცენებულნი სათემო, საპროვინციო და სახელმწიფოებრივი მშობელთა კავშირები ქმნიან ერთს მთლიანს ერთეულს, როგორც აღნიშნავს ჰერბარტი, აღზრდა ოჯახის საქმეა, თავის დასაწყის ის აქ პოულობს, ამ ნიადაგზე ის ვითარდება და უმეტეს ნაწილად თავის დასაწყისს (ოჯახს) უბრუნდება; ამ მეთოდით მოწყობილ სკოლას ძალუძს უზრუნველჰყოს ყოველივე ცხოვრების მოთხოვნილება, მას შეუძლია თავიდან აიცდინოს უარყოფითი შედეგები პარტიული ბრძოლისა, რაც სავსებით არ შეიძლება იქ, სადაც სკოლას ხელმძღვანელობენ მხოლოდ ზევიდან.

სრული დეცენტრალიზაცია, აი ერთად-ერთი სწორი გზა სწავლა-აღზრდის სფეროში, ამ გზამ ბრწყინვალე შედეგები მოიტანა ინგლისში და ამერიკაში, პრინციპიალურად ამნაირი ორგანიზაცია ჩვენც უნდა მივიღოთ, ამისათვის შესაფერი ნიადაგი აუცილებლად უნდა მომზადდეს, მაგრამ დღეს ჩვენთვის ცენტრალიზმის აღიარება უფრო ხელსაყრელია—ჩვენი ფართო საზოგადოების ეროვნული და უფრო კი პედაგოგიური განვითარება სრულებით არ გვაძლევენ იმედებს უშიშრად დავეყრდნოთ მათ ინიციატივას, აქ შეიძლება მოულოდნელ, არა სასურველ სიურპრიზებს ექნეს ადგილი. დღეს, როდესაც ქართულ სახელმწიფოებრივ სკოლის შექმნას ვცდილობთ, უფრო მისაღებია ცენტრალისტურ საფრანგეთში ნაცადი გზა, უნდა ვერიდოთ მხოლოდ უკიდურესობას, გადაჭარბებას, ნუ მივბაძავთ იმ საფრანგეთის განათლების მინისტრს, რომელიც ამაყობდა იმით, რომ მას შეუძლია ყოველივე მსურველს მოახსენოს საათით ხელში, რას ასწავლიან ამა თუ იმ წუთში რომელიმე დეპარტამენტის გიმნაზიაში: გრამატიკას, კითხვას, წერას თუ სხვა რამეს.

სასკოლო პოლიტიკაში ორი ტენდენცია ისახება. ნიადაგის მომზადება ეროვნულ სკოლის ასაყვავებლად და ევროპიული სკოლის ვითარების შეფასება. დღეს დღეობით ჩვენ თავითან უნდა ავიცილოთ გავლენა რუსული სკოლის ორგანიზაციისა; ჩვენ ვშიშობთ, რომ რუსული ლიბერალიზმის გავლენას არ დაუკარგავს თავისი მიმზიდველობა ქართულს პედაგოგიურ წრეებში, საჭიროა შევეჩვიოთ იმ აზრს, რომ ერთად-ერთი გზა (გარდა ეროვნულისა) კულტურულ აღორძინებაში მხოლოდ დასავლეთისაკენ არის; ვფიქრობთ, ჩვენთვის უფრო გამოსადეგი იქნება გერმანული*) სკოლის მაგალითები, ვიდრე რომანიულისა. ბევრი რამ აერთიანებს ქართულ ეროვნულ ტიპს რომანულთან. მაგრამ ჩვენი მოზარდი თაობა სკოლის დახმარებით უნდა დაუახლოვდეს გერმანულ-ინგლისურ სტიქიონს, მან უნდა შეითვისოს ის, რაც თვითონ ნაკლებად ემჩნევა.

სამოსწავლო პროგრამა აღმზრდელობითი ტენდენციას უნდა ექვემდებარებოდეს, ერთი აღმზრდელობითი ხაზი აუცილებლივ გატარებულ უნდა იქნეს მთელი სკოლის ორგანიზაციაში. სასწავლო პროგრამას საფუძვლად ორი მიმართულება უნდა დაედოს—რეალისტური დ გუმანისტური, პირველი გულისხმობს ბუნების და ყოველგვარ მოვლენის შემეცნებას მეცნიერული ცდის შემწეობით, მეორე მიმართულებას საფუძვლად უდევს ადამიანთა შორის ურთიერთობის შესწავლა, კაცობრიული მრავალსახიანი ცხოვრების, ადამიანთა შორის ყოველ გვარი დამოუკიდებლობისა.

ამათ მიმართულების შორის გაძლიერებულ უნდა იქმნეს ჩვენში რეალისტური, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ საშუალო განვითარებითი სკოლის ტიპი ერთგვარი იქნეს, ადგილობრივი პირობების მიხედვით აუცილებელია მრავალსახიანობის შენარჩუნება.

*) ეს ვრცელი მოხსენება ნ. ქუთათელაძისა —წარედგინა განათლების სამინისტროს კანცელარიის საყურადღებოდ. ჩვენ შემოკლებით ვბეჭდავთ, როგორც მასალას სკოლის რეორგანიზაციისთვის. რედ.

*) ვგულისხმობთ ნემცებს, სკანდინაველებს, ინგლისელებს და ამერიკელებს.

## აფხაზეთის მდგომარეობა.

მიწადმოქმედების მინისტრმა ნ. გ. ხომერიკმა შავი ზღვის განაპირა ადგილებიდან დაბრუნებისას სააგენტოს კორესპონდენტს შემდეგი აცნობა.

სოხუმის, სოჭის და სხვა ოლქებში წესრიგი მყარდება. ამ ბოლო ხანებში აფხაზეთის სახალხო საბჭო ისეთს პოზიციას დაადგა, რომელიც გულისხმობდა საქართველოს რესპუბლიკასთან დადებულ ხელშეკრულობის შესრულებაზე ხელის აღებას.

გამოწვეული იყო ოსმალთა აგენტების აგიტაციით. მიუხედავათ იმისა, რომ ოსმალეთმა ოფიციალურათ ამას წინათ გადმოსხმული დესანტი უკან წაიყვანა, იქ მაინც დარჩა ჯარის ნაწილები, რომლებიც ჩუმათ მოქმედებდენ. ამ ნაწილებს თანდათან ემატებოდენ პატარ პატარა ძალები, გარდა ამისა, ოსმალთა აგენტებმა გამოაცხადეს სოხუმის ოლქის თათრების მობილიზაცია და შეაიარაღეს ისინი. მათი მთავარი შტაბი იყო ცნობილ მემამულე ტატაში მარშანისას, რომლის მამულში თავს აფარებენ მუსულმანთა შეიარაღებული ბრბოები. თვით საბჭოში ამ უკანასკნელად შევიდნენ მემამულე ელემენტები, რომლებიც არა ოფიციალურად ეხმარებოდნენ ოსმალოს აგენტებს და აგიტაციას ეწეოდნენ საქართველოს რესპუბლიკის წინაალმდეგ. საბჭოს დემოკრატიულმა ელემენტებმა ზომები მიიღეს ამ მოძრაობისთვის ხელი შეეშალათ. 4 აგვისტოს, როცა აფხაზეთის სახალხო საბჭომ საპროტესტო რეზოლიუცია გამოიტანა საქართველოს მთავრობის დადგენილების შესახებ (თამბაქოს გამოტანა სოხუმის ოლქიდან) ოპოზიცია, საბჭოს თავმჯდომარის, ვარლამ შერვაშიძის მეთაურობით გამოვიდა საბჭოს შემადგენლობიდან, რადგანაც საბჭოს უმრავლესობის მოქმედებას აფხაზეთის დემოკრატიის ინტერესების დამღუპველად სცნობდა. უმრავლესობა ძველებურად განაგრძობდა მუშაობას და 15 აგვისტოს ოპოზიციამ, რომელიც ეყრდნობოდა აფხაზეთის შეიარაღებულ ძალას, გარეკა ძველი საბჭო და თავის თავი გამოაცხადა აფხაზეთის დროებით სახალხო საბჭოდ. მან შეიყვანა საბჭოში აფხაზეთში მცხოვრებ ეროვნებათა წარმომადგენლები, ხოლო თურქოფილთა ნაწილს აუკრძალა ცხოვრება აფხაზეთში.

დროებითი საბჭოს უმთავრესი მიზანია დაუყონებლივი მოწვევა უფლება მოსილ წარმომადგენელ ორგანოსი, რომელიც ამორჩეული იქნება საყოველთაო საარჩევნო უფლებით. ახალმა დროებითმა საბჭომ შემდეგი მოწოდებით მიმართა მცხოვრებლებს:

აფხაზთა დროებითი სახალხო საბჭოსაგან

აფხაზეთის მცხოვრებთ:

აფხაზთა სახალხო საბჭო იმ შემადგენლობით, რომელიც ხელოვნურათ იყო შექმნილი ოსმალთა აგენტების მიერ, დაეცა. აფხაზეთის დემოკრატიამ მოიშორა გზიდან თავისი მტრები და შექმნა აფხაზეთის დროებითი სახალხო საბჭო.

აფხაზეთის დროებითი სახალხო საბჭო მიზნათ ისახავს დაუყონებლივ შექმნას სრულ უფლებიანი ორგანო, რომელიც გამომხატველი იქნება აფხაზეთში მცხოვრებ ერთა ინტერესების განურჩევლად ეროვნებისა.

სანამ შეიქმნებოდეს აფხაზთა წარმომადგენლების სრულ უფლებიანი ორგანო, აფხაზთა დროებით სახალხო საბჭოში მოწვეულ არიან ყველა ეროვნების წარმომადგენელნი, რომელნიც აფხაზეთში სცხოვრობენ. ჩვენს წმიდა მოვალეობათ ვთვლით დავიცვათ აფხასეთის მცხოვრებთა ინტერესები, განურჩევლად ეროვნებისა. აფხაზეთის ტერიტორიაზე დასაშვები არ არის არავითარი წოდებრივი და ეროვნული სხვადასხვაობა და ეროვნებათა უფლების შეზღუდვა. რაც შეეხება არა ქვეშევრდომთ, აფხაზთა სახალხო საბჭო შესძლებს მიიღოს ისინი როგორც სტუმრები და დაიცვას მათი პირადი ინტერესები და ქონებრივ უზრუნველყოფა. თუ აქამდე აფხაზთა სახალხო საბჭოში მხოლოდ აფხაზების წარმომადგენელი იყვნენ, ეს იმით კი არ აიხსნება, რომ აფხაზებს სურდათ წარმომადგენლობის უფლება არ მიეცათ სხვა ეროვნების ხალხისათვის. როცა დემოკრატიის როგორც აფხაზეთის, ისე სხვა კუთხის მტრები სცდილობდენ აფხაზეთი ოსმალთა ქვეშევრდომობის ქვეშ დაეყენებიათ, ამ დროს დემოკრატია იძულებული იყო შეექმნა აფხაზთა სახალხო საბჭო, რომელიც გამომხატველი იქნებოდა აფხაზეთის დემოკრატიის სურვილებისა. ძალა უნებურათ, აფხაზთა სახალხო საბჭომ, რომელიც შესდგება მხოლოდ აფხაზებისაგან, აიღო თავის თავზე მთელი აფხაზეთის მცხოვრებთა წარმომადგენლობა.

როგორც კი შევიდნენ ოსმალთა აგენტები საბჭოში და როცა ისინი გაძლიერდნენ, აფხაზეთის დემოკრატია გამოვიდა და მოაშორა საბჭოს ეს აგენტები.

აფხაზეთის დემოკრატიამ კავშირი შეჰკრა საქართველოს რესპუბლიკასთან, ჩვენ ჩვენს მუშაობაში დავდგებით ამ დროებით შეთანხმების ნიადაგზე.

უბედურება, რომელიც მოელის როგორც შიგნიდან, ისე გარედან აფხაზეთისა და საქართველოს დემოკრატიას—საერთოა და თავის გამოსვლებში ჩვენ საქართველოს მთავრობასთან ერთად შევებრძოლებით ამ საერთო უბედურებას. მომავალში, ჩვენს დამოკიდებულებას საქართველოსთან და აფხაზეთის პოლიტიკურ ბედს განსაზღვრავს აფხაზეთის ხალხის მიერ საყოველთაო კენჭის ყრით არჩეული საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის რწმუნებულს და საქართველოს ჯარის შავი ზღვის ნაპირის ფრონტის ხელმძღვანელს.

ჩვენ მოვალეთ ვსთვლით შევატყობინოთ, რომ 15 აგვისტოს აფხაზთა სახალხო საბჭოს მემარცხენე წრის ინიციატივით, საბჭოს შენობაში დაყენებულ იქმნა დარაჯი. რადგანაც აფხაზთა ეროვნულ საბჭოში შედიოდენ ოსმალთა აგენტები, საინიციატივო ჯგუფის აღმასრულებელი კომიტეტის, (რომელშიაც შედიოდენ მემარცხენე დეპუტატები), თავმჯდომარემ ვლ. შარაშიძემ საბჭო მთელი თავისი შემადგენლობით გაუქმებულათ გამოაცხადა და ის პირნი, რომლებიც ხელს უწყობდენ ოსმალთა მთავრობის მიერ აფხაზეთის ოკუპაციას, განდევნილათ გამოაცხადა. საბჭოს შემადგენლობის უმრავლესობამ მოიწონა საინიციატივო ჯგუფის დადგენილება და შედგენილ იქმნა დროებით სახალხო საბჭო, რომელიც შეუდგა მუშაობას.

აფხაზეთის სახალხო საბჭო.

## ტელეფონი სოფლად.

მთავრობას განზრახვა ჰქონია საქართველო დაბა-ქალაქები ტელეგრაფით შეაერთოს. ეს ფრიად სასარგებლო იქნება საქართველოს რესპუბლიკისათვის, გაცილებით უკეთესი იქნება ტელეფონის ქსელიც რომ მოსდოს სოფლებს, რადგან ტელეფონის მოხმარება ყველას შეუძლიან და ტელეგრაფისა კი განსკუთრებული ცოდნაა საჭირო.

გარდა ამისა ამ გვარი საოცარ-საკვირველი მანქანა, როცა დაიდგმება, ხალხში, მცხოვრებლებში ცოდნისა და სწავლისადმი მისწრაფება ძალაუნებურად აღიძრება და ეს შემთხვევა სწორედ მოსწრებული იქნება სწავლა-ცოდნის გასავრცელებლად.

ამის საბუთად მინდა აქ შემდეგი მაგალითი მოვიყვანო. ამ 15—16 წლის წინად ტელეფონის ორი მანქანა წავიღე სოფელ პატარძეულში. ერთი სახლში დავდგი, მეორე ეკლესიის იქით, რომელიც სახლიდან თითქმის სამასი ადლის სიშორეზე იმყოფება. მავთულის გაბმაში ხალხი დიდის ხალისით მშველოდა და მოუთმენლად ელოდა ამ საკვირველ სანახაობას.

როცა მიწის მავთული და ლეკლანშეს ელემენტები ჩავაბი მანქანებს და მოვმართე, ვალაპარაკე მწერალიც დ მამასახლისიც, ნაცვალიც, მღვდელიც და სხვა ხალხიც. ყველა ხახა დაღებული შესცქეროდა ამ საკვირველ მანქანას და უკვირდათ ადამიანის ხმა რო ეყურებოდათ მიკროფონში.

ერთმა მოხუცმა მითხრა: ეგ მავთული გახვრეტილია, თორემ ხმა ეგრე როგორ გავაო. იმის დასამტკიცებლად რო მავთული გახვრეტილი არ იყო, ერთ ადგილას გავსჭერი, მაკრატლის ყურებში ჩავაბი და ველაპარაკე. ამით ყველა დარწმუნდა რომ მავთული კი არ იყო გახვრეტილი, არამედ სხვა რაღაც ძალა ალაპარაკებდა მას.

მერე მეორემ სთქვა: „უთუოდ ე მაგაში (და ტელეფონის მანქანაზე მიმიშვირა ხელი) კაცი ზის და ის ლაპარაკობს, თორე ეგრე როგო ილაპარაკებს ე რაღაც მაშინა დგას". მე ვუთხარი რომ შენც კაცი ხარ აბა მოდი და ჩაძვერ შიგა მეთქი. მერე ნაწილებად დავშალე თვით მანქანა და ყველა ნაწილის მნიშვნელობა ავუხსენი შეგროვილ ხალხს, რომელიც დიდის ყურადღებით ისმენდა.

ერთი კვირის განმავლობაში მეორე მანქანა ხალხის თხოვნით ხან ერთ ადგილზე გადამქონდა და ხან მეორეზე მუდამ დიდძალი ხალხი იკრიბებოდა.

სხვათა შორის მეკითხებოდნენ: შორს მიდის ამის ხმა თუ არაო, ძვირი ეღირებაო ამის აქედან ქალაქში გაყვანაო? მე ყველაფერზედ დაწვრილებით პასუხს ვაძლევდი და ხალხმა

სურვილი გამოსთქვა პატარძეულის თბილისთან შეერთებისა.

ამის შემდეგ გრამოფონი წავიღე, დაუკარი, მოვასმენინე, და აუხსენი როგორ და რანაირად მოქმედობს. აგრეთვე ვიყავი დიდი საბარგო ავტომობილითაც, ჩიგ ჩავსხი ზოგიერთები და სოფელში გავატარე. აუხსენი იმის მოძრაობის მოქმედებაც.

შემდეგ ზაფხულში ბუნდოვანი სურათები წავიღე და ხალხს ერთი კვირის განმავლობაში ვუჩვენებდი და ვუხსნიდი ამაებს.

ხალხი მადლიერი იყო და ყოველიფერს დიდის ყურადღებით ეპყრობოდა და სწავლის სურვილს იჩენდა, მაგრამ დღევანდლამდის სოფლისათვის ვერავინ მოიცალა ꩜ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეხლა მაინც ეღირსება სწავლა-ცოდნის შეძენას ჩვენი დაჩაგრულდაბეჩავებული და ჩვენ მტერთაგან ცუდ გზაზედ დაყენებული ხალხი.

ისე მოეწონათ ტელეფონი, რომ სურვილი გამოსთქვეს ოღონდ კი ეს გაგვიმართონ ქალაქთან სალაპარაკოთ და ჩვენც შევეწევით რითაც კი შევძლებთო.

ამიტომ უნდა ვიმედოვნოთ, რომ ოღონდ კი მთავრობამ ტელეფონების გამართვას ხელი მოჰკიდოს და ხალხი თვით მიეშველება და ამით გაუადვილებს მთავრობას მუშაობას და ხარჯსაც შეუმსუბუქებს.

მ. იანქოშვილი.

## დასავლეთ საქართველოს ექიმთა კავშირი.

დასვლეთ საქართველოს ექიმთა პროფესიონალური კავშირის კრებამ 22—25 ივლისს განიხილა საქართველოში "საექიმო სანიტარული საქმის სამი პროექტი და შესწორების შემდეგ მიიღო შემდეგი, რომელსაც საფუძვლად დაუდვა ჩვენ რესპუბლიკაში ერობის შემოღება და ხალხის თვითმოქმედებაზე უკეთესს მერმისის შენება:

1. უნდა მოწვეულ იქნეს მთელი რესპუბლიკის ექიმთა კრება, რომელიც გამოიმუშავებს რეორგანიზაციის საბოლოო გეგმას.

2. შემუშავებული გეგმის ცხოვრებაში გასატარებლად კრება ირჩევს აღმასრულებელ ორგანოს. ამ ორგანოს შემადგენლობას და წევრთა რიცხვს საზღვრავს თვით ექიმთა კრება. ესეთი აღმასრულებელი ორგანო საექიმოსანიტარული საქმის უმაღლესი გამგე ორგანოა მთელს სახელმწიფოში. ის ავტონომიურად არის მოწყობილი და მუდმივი კონტაქტი აქვს სამინისტროსთან.

ასეთი ორგანოს ფუნქციებია: ექიმების კრებების დადგენილობების სისრულეში მოყვანა. პარლამენტში ბიუჯეტის გატარება. მთელ რესპუბლიკაში საექიმო სანიტარული საქმის თვალყურის დევნება. საჭიროების დროს სხვა და სხვა სანიტარული დაწესებულებების შეცდომების ჩვენება და მათი გასწორების მოთხოვნა. კრებებისათვის მასალების დამზადება და სხვანი.

შენიშვნა: რესპუბლიკაში საექიმო-სასანიტრო საბჭოების ჩამოყალიბების შემდეგ ამ უკანასკნელთ ნება ეძლევათ აქტიური მონაწილეობა მიიღონ ხსენებულ აღმასრულებელ ორგანოს შემადგენლობის შევსებასა და შესწორებაში:..

3. უნდა დაარსდეს უბნის, მაზრის და გუბერნიის საბჭოები.

უბნის სანიტარული საბჭოს ფუნქციებია: უბანში ხალხის ჯანმრთელობის თვალყურის დევნება და მასზე ზრუნვა. გადამდებ სნეულებებთან ბრძოლა. იმ ზომების ცხოვრებაში გატარება, რომლებიც ექიმთა ყრილობის, გუბერნიის და მაზრის სანიტარულ საბჭოებისაგან იქნება გამომუშავებული. ადგილობრივ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა და სხვანი. საბჭოების კრებები იმართება პერიოდულად. ინტერვალების სიდიდეს საზღვრავს თვითონ საბჭო.

საბჭოს შემადგენლობაა: ექიმი 1. საშუალო საექიმო პერსონალის წარმომადგენლი 1. და ერობის წარმომადგენელი 1. შენიშვნა 1. საჭიროების დროს საბჭოს უფლება აქვს მოიწვიოს ყოველ დარგის სპეციალისტები (აგრონომი, ტეხნიკი, მასწავლებელი, ფარმაცევტი და სხ.) მოწვეული პირნი საბჭოში გადამწყვეტი ხმით შედიან.

შენიშვნა 2. სანიტარულ საბჭოს გარდა უბანში (მაზრაშიც) არის კიდევ საავდმყოფოს საბჭო. მის შემადგენლობას საზღვრავს სანიტრული საბჭო.

მაზრის სანიტარული საბჭო.

ამ საბჭოს ფუნქციები თითქმის ისეთივეა, როგორც უბნისა, მხოლოდ უფრო ფართოდ და დიდი ფარგლით.

საბჭოს შემადგენლობაა:

მაზრის საავადმყოფოს წარმომადგენელი ექიმი 1. უბნების სამი საავადმყოფოს წარმომადგენელი ექიმი 1. ეპიდემიური ექიმი 1. სასკოლო ექიმების წარმომადგენელი 1. ქარხნების ექიმების (თუ კი ასეთი იქნება) წარმომადგენელი 1. სანიტარული ექიმი (თუ კი ასეთი იქნება) 1. სამხედრო ექიმების წარმომადგენელი 1. საშუალო საექიმო პერსონალის წარმომადგენელი 1. ქალაქის წარომადგენელი 1. ფარმაცევტი 1. და ერობის წარმომადგენელნი 2.

შენიშვნა: საჭიროების დროს ამ საბჭოსაც უფლება აქვს მოიწვიოს სპეციალისტები გადამწყვეტი ხმის უფლებით. საბჭოს ადგილობრივ წევრთა კრება უსასყიდლოა. გამოწვეულ პირთ კი ეძლევათ გზის ფული და დღიური.

გუბერნიის სანიტარული საბჭო.

მისი ფუნ-ქციებია: ა) სტატისტიკა ქორწინების, დაბადების, ავადმყოფობის. სიკვდილიანობის და სხვა. ბ.) ჩვენი ქვეყნის შესწავლა: საექიმო გეოგრაფია, მეტეოროლოგია, გადამდები სნეულებანი და მასთან ბრძოლა. საცხოვრებელი ბინების ტიპის გაუმჯობესება და მისი ჰიგიენა· სასკოლო, სამხედრო, საქარხნო-საფაბრიკო ჰიგიენა. კურორტების შესწავლა და მათი განვითარების ხელის შეწყობა. სანიტარულჰიგიენურის თვალსაზრისთ ტყეების დაცვამფარველობა. წყლების შესწავლა, ჭაობების დაშრობა, ჭლექთან, მალარიასთან, ათაშანგვენერიულ სატკივრებთან ბრძოლა. სურსათ სანოვაგის სიავკარგის თვალყურის დევნება და მისი გამოკვლევა. რადიუსების შემოკლებით საექიმო უბნების გამრავლება. საავათმყოფოების გაფართოება. ხალხში ჰიგიენური ცნობების გასავრცელებლად საჯარო ლექციების მოწყობა, სამეცნიერო ცენტრში რიგრიგობით და დრო გამოშვებით ექიმების გზავნა ცოდნის შესავსებლად, ექიმების დასვენების მოწყობა და სხვანი.

საბჭოს შემადგენლობა.

საგუბერნიო საავადმყოფოს წარმომადგენელი ექიმი 1. მაზრების წარმომადგენელი, თითო მაზრიდან თითო ექიმი 1×7. ეპიდემიური ექიმების წარმომადგენელი 1. სანიტარული ექიმების (თუ ასეთი იქნება) წარმომადგენელი 1. სამსჯავროს ექიმი 1. სასკოლო ექიმის წარმომადგენელი 1. საფაბრიკო (თუ იქნა). 1. სამხედრო ექიმების წარმომადგენელი 1. საშუალო საექიმო პერსონალის წარმომადგენელი 1. ფარმაცევტი 1. ქალაქის წარმომადგენელი 1. ერობის წარმომადგენელი 3.

შენიშვნა 1. საჭიროების დროს საბჭოს უფლება აქვს მოიწვიოს როგორც სპეციალისტები, ისე მაზრის და უბნების წარმომადგენელნი გადამწყვეტის ხმით.

შენიშვნა 2). საბჭოსა ჰყავს ერთი სათადარიგო ექიმი, რომელიც იგზავნება იქ, სადაც ადგილობრივი ექიმი ამა თუ იმ მიზეზით დროებით სტოვებს ალაგს.

გუბერნიის სანიტარულ საბჭოსა ჰყავს სამი კაცისაგან შემდგარი აღმასრულებელი ორგანო. მისი შემადგენლობაა: ერთი უფროსი ექიმი, როგორც თავმჯდომარე და სანიტარული საქმის კომისარი, განაგებს კერძოთ სამსჯავროს ექიმობის დარგს და აფთიაქების საქმეს. მეორე-სტატისტიკის საქმის და ეპიდემიებთან ბრძოლის ხელმძღვანელი. მესამე საავათმყოფოების (ხელმძღვანელი). მეთვალყურე. მათ ეძლევათ ჯამაგირი. ყველა თანამდებობის პირი არჩეულია.

საბჭოების მოქმედებას კანტროლს უკეთებს მთელი რესპუბლიკის ექიმთა პერიოდული კრებები...

სასანიტარო საბჭოების და ერობის დამოკიდებულება.

ყოველივე საერობო საქმის მომწყობი და ბატონ-პატრონი არის თვით ერობა თავის შემადგენლობით. საექიმო-სანიტარული საქმის საჭიროების გადაწყვეტა ეკუთვნის სანიტარულ საბჭოს; მაგრამ შეიძლება თუ არა ფინანსიურის და ტეხნიკურის მხრით საბჭოებისაგან ამა თუ იმ პროექტის ცხოვრებაში გატარება-ეს უნდა გადასწყვიტოს ან თვით ერობამ, ან მისმა აღმასრულებელმა ორგანომ. სანიტარული საბჭოს წევრები მათში გადამწყვეტის ხმის უფლებით შედიან. სანიტარულ საბჭოს ევალება თვალ-ყური ადევნოს რომ ერობისაგან და მისი აღმასრულებელი ორგანოსაგან მიღებული სანიტარულ-საექიმო ხასიათის პროექტები ცხოვრებაში იქნენ გატარებული და შესრულებული.

## უბედურება ნახიჩევანში

ამ დღეებში ნახიჩევნიდან გამოქცეულმა ერთმა ქალმა, როგორც იტყობინება გაზეთი „ორიზონი" შემდეგი ცნობა გადასცა ნახიჩევანში მომხდარ ამბებზე ანდრანიკის იქ ყოფნის დროს.

ივლისის პირველ ნახევარში შემოვიდა ანდრანიკა თავის ჯარით ნახიჩევანში და თანახმობა დაამყარა სხვა და სხვა ადგილობრივ მოქმედ ორგანიზაციებთან. 15 ივლისს განკარგულება გამოსცა რომ ქალებმა და ბავშებმა დატოვონ ქალაქი, რადგანაც ქალაქის წრეებში მოსალოდნელია სამხედრო მოქმედება. მაგრამ ხალხმა ყურადღება არ მიაქცია ამ განკარგულებას და არ წავიდა ქალაქიდან. გარდა ამისა, ანდრანიკამ ულტიმატუმი გაუგზავნა ხოის ხანებს: ჯაფარ კულს, ბაჰრამ ხანს, რაჰიმ ხანს დებეუკ ხანს და მოსთხოვა, რომ იარაღი აიყარონ და დამორჩილდნენ ანდრანიკას. მაგრამ ხანებმა დროით შეატყობინეს შახტახტში მყოფ ოსმალეთის ჯარის კომენდანტს. კომენდანტმა ურჩია ანდრანიკას არ დამორჩილებოდნენ, მათ მეორე დღესვე დაიწყეს თავიანთ საზღვებში მცხოვრებ სომხების დევნა და ცარცვა-გლეჯა. სომხებმა მოსთხოვეს ანდრანიკას შველა, ანდრანიკმა შეატყობინა, რომ მიუვათ სომხის ჯარი (2000 კაცი) სმბატის მეთაურობით. ნახიჩევანის ჯარის კაცებმა 19-ივლისს დაიჭირეს მაღალი ადგილები მტერთან საბრძოლველათ. დილთ ნახეს, რომ რაღაც ჯარი მოუახლოვდა ქალაქს, ეგონათ სომხები არიან მოდიან საშველათო, მაგრამ როცა უფრო ახლო მოვიდნენ, ნახეს რომ ოსმალეთის ჯარია. დაიწყო სროლა, რომელიც გაგრძელდა შუადღის 12 საათამდე. სომხებს ჰქონდათ ერთი ზარბაზანი და ერთი ტყვიის მფრქვეველი, ოსმალებს 9 ზარბაზანი და 16 ტყვიის მფრქვეველი. სომხების ერთი ზარბაზანი და ერთი ტყვიის მფრქვეველი დარჩათ ოსმალებს. საღამოს ოსმალები შემოვიდნენ და დაიჭირეს ქალაქი. სომხებმა დატოვეს ქალაქი. გადასახლდნენ სოფელ ყარახანბეკლში, ქალაქში დარჩა მხოლოდ 150 კაცი სიონ ბერის მფარველობის ქვეშ.

მეორე დღეს თათრებმა მოაგროვეს ეს 150 სომეხი მათი სიონის არხიმანდრიტითურთ და წაიყვანეს სოფელ აღლაბადისკენ. რამდენიმე დღის შემდეგ არხიმანდრიტ სიონმა წიგნი მისწერა ოსმალების მთავრობას, რომ 150 სული სიმშილით იხოცება და დაიფარონ სიკვდილისაგან, მაგრამ მთავრობამ ყურადღება არ მიაქცია. რა მოუვიდათ მათ, დაიხოცენ თუ ცოცხალი დარჩნენ, არ იციან. ნახიჩევნის ახლო მდებარ 13 სოფლების სომეხი გლეხობა კი მოგროვდა სოფელ ასტაბადს, მაგრამ ამ სოფელს შემოარტყეს ალყა თათრებმა და იარაღი აჰყარეს. არც ის იციან, თუ რა მოუვიდათ ამ სოფელს.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

### ჩინეთი და რუსეთი.

ჩინეთის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე გაირჩა საკითხი ჩინეთის მთავრობის რუსეთის საქმეებში ჩარევის შესახებ. იაპონიის ელჩმა დაბეჯითებით მოითხოვა, რომ ჩინეთმა რუსეთში გაგზავნოს საექსპედიციო კორპუსი ჩინელ ქვეშევრდომთ ინტერესების დასაცვავათ. მინისტრთა უმრავლესობამ ამ წინადადებას მხარი დაუჭირა. გადაწყვეტილია: ჩინეთი მიიღებს მონაწილეობას მოკავშირეებთან ერთად რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებაში და ციმბირისკენ 4 კორპუსს გაგზავნის.

### ინდოეთის ავტონომია.

ლონდონიდან იუწყებიან, რომ ინდოეთში ფართო ავტონომიის შემოღება უკვე გადაწყვეტილი საქმეა, რადგან ინდოელები ომში მონაწილეობის საკითხს ავტონომიის მიღებას უკავშირებენ.

### რუსეთის მემარცხენე ესერები.

მემარცხენე ესერების „ამბოხების" შესახებ, საბუთებით და მოწმეების ჩვენებით, გამოძიებამ გამოარკვია, რომ ეს ამბოხება წინსწარ განზრახვით მზადდებოდა, რითაც მემარცხენე ესერების ცენტრალური კომიტეტი სცდილობდა მირბახის მოკვლით რუსეთი გერმანიასთან ომში ჩაეთრია.

### საალყო წესები ბერლინში,

როგორც გაზეთები იუწყებიან, რეიხტაგში დიდი კამათი ყოფილა საალყო წესების გამოცხადების გამო. სოციალისტური პარტიების თითქმის ყველა წევრები მოითხოვენ საალყო წესების მოხსნას, და სამხედრო და სამოქალაქო ცენზურის განცალკევებას.

### ნიკოლოზ II-ის დღიური.

რუსეთის პრესაში იბეჭდება ნამეფარ ნიკოლოზ II-ის დღიური, სადაც ნამეფარი დაწვრილებით აღწერს იმ ამბებს, რომელიც მის მეფობიდან გადადგომასა და რუსეთის სამეფო ტახტზე უარის თქმას შეეხება.

### სტამბოლის კონფერენცია.

როგორც ცნობებია სტამბოლის კონფერენციის პლენარული სხდომები 25 აგვისტოს დაიწყება.

## განცხადებები

### ქართული შრიფტი

საბეჭდავ მანქანებზე ვაკეთებ ქართულ შრიფტს. შეკვეთილს ვასრულებთ სუფთაათ და სწრაფად. ს. გერმანი. სასახლის ქუჩა № 2.

---

მიკირტიჩ ტერ-ავაქოვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა რევოლვერის ტარების ნებართვის ქაღალდი № 47226 და მოწმობა მისი თელავის ელექტრონის სადგურზე სამსახურის დამადასტურებელი.

---

კავკასიის უწმინდესი და უმართებულესი სინოდის კანტორა აცხადებს, რომ 1918 წ. 18 ივლისს № 479 გამოიტანეს დადგენილება განქორწინებისა აპოლონია მიხეილის ასულის კომპასი და რუდოლფ-ლუსპოლდ კომპასი, პირველის თხოვნით. ამ დადგენილების ძალით რუდოლფ კომპას ეძლევა უფლება შვიდი დღის ვადაში განაცხადოს რამდენად კმაყოფილია ის ამ დადგენილებით და თუ ისურვებს არა უგვიანეს ერთი თვისა წარმოადგინოს კანტორაში სააპელიაციო განცხადება სინოდის სახელზე.

---

კავკასიის უწმინდესი და უმართებულესი სინოდის კანტორა აცხადებს, რომ 12 აგვისტოს 1918 წ. შევიდა თხოვნა ქ. თბილისში ტრამვაის ქუჩაზე № 21 მცხოვრების იოსებ გენრიხის ძე ოტტოსი, მის განქორწინებაზე ცოლთან, კლავდია ნიკოლოზის ასულ ოტტოსთან, რადგანაც არ იცის სად არის ის. ჯვარდაწერილი არიან ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში ს. აბდულინში, მუგურუსლანის მაზრა 1905 წ. 4 სექტემბერს. მთხოვნელის, იოსებ ოტტოს განცხადებით კლავდია ოტტო არა სჩანს 1911 წლიდან. ამ განცხადების ძალით ყველა, ვინც იცის სად არის კლავდია ოტტო, ვალდებულია განუცხადოს სინოდალურ კონტორას ერთი თვის ვადაში ამ განცხადების შემოსვლის დღიდან.

---

კავკასიის სინოდალური კანტორა აცხადებს, რომ 1918 წლ. 15 აგვისტოს № 530, გამოიტანეს დადგენილება განქორწინებისა ნინა ლეონარდის ასულის აბრამოვის ქმართან ვიქტორ ვიქტორის ძე აბრამოვთან, პირველის თხოვნით. ამ დადგენილების ძალით ვიქტორ აბრამოვს ეძლევა უფლება შვიდი დღის ვადაში განაცხადოს რამდენად კმაყოფილია ის ამ დადგენილებით, და თუ ისურვებს, არა უგვიანეს ერთი თვისა წარმოადგინოს კანტორაში სააპელიაციო განცხადება სინოდის სახელზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დადგენილება მოყვანილი იქნება სისრულეში.

---

კავკასიის უწმინდესი და უმართებულესი სინოდის კანტორა აცხადებს, რომ 1918 წ. 12 აგვისტოს იქ შევიდა თხოვნა ქ. თბილისში, გონჩარნაია ქ. № 1—3 მცხოვრების ვლადიმერ კონსტანტინეს ძე ვასილევის ცოლთან რეგინა-ვლადისავა ლევ. დიკშტეინის ასულ ლვოვთან განქორწინების შესახებ, რადგან არ იცის სად არის ის. ჯვარ-დაწერილი არიან ქ. ტომსკში, ფერისცვალების ეკლესიაში 1909 წ. მთხოვნელის განცხადებით რეგინა ვასილიევა არა სჩანს 1912 წლიდან. ამ განცხადების ძალით, ყველა ვინც იცის სად არის რეგინა ვასილიევა ვალდებულია განუცხადოს სინოდალურ კანტორას ერთი თვის განმავლობაში ამ განცხადების შემოსვლის დღიდან.

---

სერგო ივანესძე ენიკოლოპოვი აცხადებს, რომ მან დაკარგა ტალონი მიღებული თბილისის საოლქო სასამართლოდან ივანე ვასილის ძე ნასიბოვის სახელზე, ენიკოლოფოვის გადასაცემად 480 მან., მოწმობა მიღებული თბილისის საოლქო სასამართლოდან, რომ ენიკოლოფოვი არის ნაფიცი ვექილის თანაშემწე და მოწმობა მიღებული თბილისის ქალაქის სამართველოდან, სამხედრო ბეგარის მოსახდელად თავის დროზე გამოცხადების.

---

ქ. თბილისის მეოთხე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ ალექსანდრა (ალექსან) სააკის ასულის სარკისიანის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება სარკისიანის ქონებაზე 1941 მუხ. ძალით. დადგენილ ვადაში. 1 ივნ. 1918 წ.

---

დამზღვევი საზოგადოება „როსია" აცხადებს, რომ საწინდრიანი ვექილობების სესხებზე და პოლისებზე: № 284213 სპირიდონ ონისიმესძე ნადირაძის და № 284446 ელისაბედ ალექსის ასულის ნადირაძის დაკარგულია და გაუქმებულად ითვლება.

იგივე საზოგადოება აცხადებს, რომ კვიტანცია № 486520 და წინასწარი მოწმობები თავის დაზღვევისა №№ 122061, 122062, 122063, 122064, 122065, 122066, 122067, 122068, 122069 და 122070 დაკარგულია და გაუქმებულად ითვლება.

სტამბა საქართველოს მთავრობისა.

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.